REVUE MENSUELLE

თვიური ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კავკასია

## (LE CAUCASE)

დამოუკიდებელი ეროვნული აზრის ორგანო

L'adresse de l'administration : 73, rue Froidevaux, Paris (14·)

№ 7 დეკემბერი 1937 № 7

შინაარსი:

1. ჰაიდარ ბამმატ—პოლიტიკური მიმოხილვა
2. ვლ. ახმეტელი — სამთა კავშირის გამო.
3. ზ. ავალიშვილი — ზოგი ერთი პოლემიკის გამო
4. ლენ. გ. კვინიტაძე — ერთი „აღშფოთების“ გამო.
5. ი. გვარამაძე — ვინ დასთმო საქართველოს მიწა - წყალი
6. სევ. ურუშაძე — სუვერენობა და სახელმწიფოებრივი პოლიტიკა
7. ** მენშევიკური მიტინგი
8. ლენ. გ. კვინიტაძე — წერილი რედაქციის მიმართ
9. ზ. ციციშვილი — ზაირა— ორ მოქმედებიანი ხევსურული დრამა 4 სურათად
10. შ. ამირეჯიბი — კარგი ქართული წიგნი (ბიბლიოგრაფია.)

## პოლიტიკური მიმოხილვა

„მსოფლიო იმყოფება დიდ მნიშვნელოვან ამბების მოლოდინში. უახლოეს დღეებში უნდა გადასწყდეს შიდა და აღმოსავლეთ ევროპის ბედი და მასთან ომისა და ზავის ბედიც“ო, სწერდა გაზეთი „ეპოკ“ი, ნოემბრის 27- ის ნომერში.

„ ინგლის - საფრანგეთის კონფერენცია, რომელიც დოვნინგ - სტრიტზედ ორშაბათს უნდა გაიხსნას, ეჭვი არ არის, იქნება ერთი უმნიშვნელოვანესი დიპლომატიური შეხვედრათაგანი, რომელიც კი მომხდარა, საზავო ტრაქტატების დადების შემდეგ“ ო, ბანს აძლევს მას პერტინაქსი „ეკო დე პარის“-ში.

ფრანგ მინისტრების ლონდონში გამგზავრების ამბავის ასეთი შეფასება გადაჭარბებულად არ უნდა ჩაითვალოს.

განსაკუთრებულად მნიშვნელოვანმა პოლიტიკურმა ამბებმა, რომლებითაც ასე მდიდარი იყო გასული თვე, თითქოს მართლა იძულებული გახადეს ინგლისი და საფრანგეთი კარდინალური საკითხების გადაჭრისათვის იზრუნვონ.

ზოგი გადაწყვეტილება ხომ ფაქტიურად მიღებულიც არის, და მომავალში სალაპარაკო ის ღა იქნება თუ როგორ ჩამოაყალიბონ ესა თუ ის გადაწყვეტილება.

ასე, მაგალითად, ესპანეთის სამოქალაქო ომი, რომელიც თვრამეტი თვის განმავლობაში იქცევდა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მთავარ ყურადღებას და არა ერთხელ დამუქრებია ევროპას, საერთო ცეცხლი დაენთო, დღეს ლიკვიდაცია - ყოფილად უნდა ჩაითვალოს.

რა თქმა უნდა, საბოლოო დაშოშმინება მდე და ნორმალურ ცხოვრებისადმი დაბრუნებამდის, ჯერ კიდევ კარგა ხანი გაივლის. ჯერ კიდევ ვნახავთ ჰაერიდან თავდასხმასა და ქვეითა ბრძოლებს, მაგრამ საერთაშორისო ფარგალით მნიშვნელოვანი გართულებანი თავიდგან აცილებულია.

—ორივე მარქსისტულმა ინტერნაციონალმა და ყველა ჯურის მეომარმა პაციფისტებმა თავის ავაზაკურ ოცნებაზედ, რომ დიდი და წვრილი „დემოკრატიები" საღმთო ომს გამოუცხადებდნენ „მსოფლიო ფაშიზმს" — ხელი უნდა აიღონ.

დროებით მაინც — მოსკოვის ეს წადილი —თავლაფ დასხმული გამოდგა.

გენ. ფრანკოს უკანასკნელმა სამხედრო წარმატებამ, რომელმაც ნაციონალისტები ესპანეთის ორი მესამედის ბატონ - პატრონად აქცია და კატალონიის გენერალატის აშკარა სურვილმა, რათა ბილბაოს, სანტანდერის და ასტურიის ბედი არამც და არამც არ გაიზიაროს, ესპანეთის სისხლიანი დავის ბოლო ერთხელ და სამუდამოთ წინასწარ გადასჭრეს.

ინგლისმა კარგად იცოდა თუ რას სჩადიოდა, როცა „აჯანყებულ" გენერალს „სავაჭრო" აგენტებს უგზავნიდა და მისგანაც იღებდა.

პარლამენტის მაღალი ტრიბუნიდგან გაკეთებული საზეიმო განცხადება, რომ ეს ნაბიჯი არ ნიშნავდა არც იურიდიულ, არც ფაქტიურ ცნობას, — მხოლოდ ქანდარისათვის იყო კარგი. ეს იყო ტიპიური ნიმუში იმისა, რასაც ფრანგები „ბურაჟ დე კრან"ს უწოდებენ და რასაც ჩვენებურად „თვალის ახვევა" ჰქვიან... ყოველთვის პრაკტიკულმა დიდმა - ბრიტანეთმა, ხანგრძლივი მერყეობის შემდეგ თავისი არჩევანი გააკეთა.

ეს არჩევანი მას არცა თუ დიდათ ეპიტნავება, მაგრამ აუცილებელი და საბოლოოა, იძულებული იქნებიან, რომ სხვებმაც მის მაგალითს წაბაძონ ... ესპანეთის დრამის უკანასკნელი მოქმედება თავდება, შორს არ არის ის დღე, როცა მადრიდის „კანონიერ" მთავრობის მინისტრებს ბარიზის ბულვარებზედ ვიხილავთ.

***

ევროპის კანცელარიათა გულისყური ესპანეთიდგან უკვე ისეთი დიდი მასშტაბის ამბებზედ გადავიდა, რომელთა შედეგები მსოფლიოსათვის აღურაცხველია.

ექვს ნოემბერს, დილის თერთმეტ საათზედ რომში ადგილი ჰქონდა სამთა ანტიკომუნისტური პაკტის ხელის მოწერას— გერმანიის იაპონიის და იტალიის შორის, უფრო სწორედ რომ ითქვას —რომი გაუერთიანდა იმ პაკტს, რომელსაც ერთი წლის წინად, 1936 წელს 25 ნოემბერს, ბერლინმა და ტოკიომ მოაწერეს ხელი.

გადამეტებული არ იქნება ითქვას, რომ ამ პაქტის დანიშნულებაა გადამჭრელი გავლენა იქონიოს ევროპის მთავარ სახელმწიფოთა და ამერიკის მომავალ პოლიტიკის მთელ განვითარებაზედ.

ევროპის საზოგადოებრივი აზრი ჯერ კიდევ საკმაო ანგარიშს არ აძლევს თავის თავს ამ ამბების ნამდვილ ისტორიულ მნიშვნელობაში. ვერ შეიგნო მან თავის დროზედ ვერც იმ, ეხლა გაერთიანებულ ორი ღერძის მნიშ-

ვნელობა, როგორიც იყო ბერლინი - ტოკიო და ბერლინი - რომი.

ბევრ დამსახურებულ ევროპიელ დიპლომატს, პროფესიული მხედველობის აბერაციით დაავადებულს, რაიცა მათ ჟენევის პოლიტიკურ ორანჟერეებში ჯდომამ შესძინა, ეგონა რომ ბერლინ - რომის ღერძი მხოლოდ უბრალო და ეფემერული დიპლომატიური დემონსტრაცია იყო, პოლიტიკურ მერმისს მოკლებული. მათ ეგონათ, რომ გერმანიის და იტალიის ინტერესთა წინააღმდეგობა შიდა ევროპაში დაუძლეველი დაბრკოლება იყო, რომ ამ ერებს მართლა ეთანამშრომლათ ერთმანეთთან.

ამ პოლიტიკურ დოგმატს, როგორც აგრეთვე სხვა მრავალ დოგმატებს ჩვენი დროის დიქტატორებმა გამგმირავი ლახვარი ჩასცეს.

სურთ თუ არა ევროპის დიდ დემოკრატიებს და მათ კლიენტებს შიდა ევროპაში და ბალკანეთზედ, ბერლინ - რომის ღერძი, დღეს ევროპის კონტინენტალური პოლიტიკის მთავარი ფაქტორია.

სამუდამო ქვეყნად, რა თქმა უნდა, არაფერია, ალბად ოდესმე ბოლო მოეღება ამ სახელმწიფოთა თანამშრომლობასაც, მანევრებს, რომ გერმანულ - იტალიური ღერძი ჩაშალონ, ცდა არ აკლია. მაგრამ საჭირო არ არის კაცი წინასწარმეტყველი იყოს, სჯეროდეს, რომ ვიდრე ეს ოცნება განხორციელდება სენისა და ტემზის ხიდეების ქვეშ ბევრი წყალი ჩაივლის.

ამ ჟამად იტალო - გერმანიის ღერძის იტალო - გერმანია - იაპონიის სამკუთხედათ ქცევა, ამ პოლიტიკურ კომბინაციას შეუბღალავად ხდის ევროპაში და შორეულ აღმოსავლეთში და საშუალებას აძლევს მას, ისეთის კილოთი ელაპარაკოს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს, რომელზედაც, რამდენიმე წლის წინად, ფიქრიც - კი წარმოუდგენელი იყო.

მაგალითი — ბრიუსელის კონფერენცია და იაპონიის ის პოზიცია, რომელიც იაპონიამ ცხრამეტი სახელმწიფოს მიმართ დაიჭირა. კონფერენციის დასწრებაზედ და კონფერენციის შუა კაცობაზედ ჩინეთის საკითხში უარი სთქვა.

ძნელია კაცმა წარმოიდგინოს სამთა შეთანხმების ძლიერების უფრო მკვეთრი დემონსტრაცია და ყველაზედ ადრე თვით იაპონიისა, ვიდრე ბავშვური თავდაკარგულობის და უძლურების ის სურათი, რომელიც უჩვენა მსოფლიოს ამ უცნაურმა კონფერენციამ — სადაც, ყველა მონაწილე, იტალიის დელეგატისა და კიდევ შუა კონფერენციიდან გაქცეული ლიტვინოვის გარდა, უფრო მეტოდისტურ მქადაგებელს ჰგავდა, ვიდრე დიდ სახელმწიფოთა სრულ უფლებიან წარმომადგენელს..

ამიტომ გასაოცარი არაფერია, რომ ჩ. ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და ამერიკა ღრმად არიან შეშფოთებული იმ ამბებით, რომლებიც შორეულ აღმოსავლეთში ვითარდებიან.

იაპონიის ძლევა მოსილი წინ სვლა ჩრდილო ჩინეთში, შანხაის დაჭერა და ნანკინზედ დამუქრება ყოველ დღე მისებურ და აუნაზღაურებელ ზარალს აყენებს არა მარტო ამ სახელმწიფოთა უამრავ ნივთიერ ინტერესებს. არამედ - და აღმოსავლეთში ამას იქნება მეტი მნიშვნელობა ჰქონდეს— მათ სახელმწიფო პრესტიჟს და პოლიტიკურ გავლენასაც.

რა აზრი ჰქონდა ამ სახელმწიფოებისათვის, რომ მათ ამ კონფერენციაზედ სხვა თექვსმეტი საშუალო და პატარა სახელმწიფოც მოიწვიეს, რომელთაც გადაჭრით არავითარი, თუ თითქმის არავითარი საშუალება არა ჰქონდათ, რომ შორეულ აღმოსავლეთის ამბებზედ გავლენა მოეხდინათ და მხოლოდ თავის უძლურებას მოაწერეს ხელი —ვაშინგტონის, ლონდონის და პარიზის კანცელარიების დიპლომატიურ საიდუმლოდ რჩება.

საბოლოოდ ამისი მადლობა იაპონიამ რუზველტს უნდა უთხრას, რადგან სწორედ მის წყალობით მოხდა, რომ ბრიუსელის კონფერენციის გამო იაპონიას ასეთი თავ - ბრუ დამხვევი პოლიტიკური გამარჯვება ხვდა.

თუ არა ჩიკაგოში ნათქვამი რუზველტის გახმაურებული სიტყვა, რომელიც ევროპის „დემოკრატიების“ მიერ ისე იყო გაგებული, თითქოს ამერიკა ეხლავე მზად იყო, რომ ფაშიზმის წინააღმდეგ ჯვაროსან ომში ჩარეულიყო, არა გვგონია ერთა ლიგას თავს ედვა, რომ მის საბჭოს ეს კონფერენცია მოეწვია.

***

თუ ევროპის ფართე წრეებს საკმაოთ არ ესმით რა ძალას წარმოადგენს იაპონიის, გერმანიის და იტალიის სამთა კავშირი, იგივე საყვედური არ ეთქმის ბრიტანეთის სახელმწიფო მოღვაწეებს

ზღვათა ლორდების გამჭრიახობას, რა თქმა უნდა, ვერ გამოეპარებოდა ის საფრთხე, რომელიც აღინიშნა ბრიტანეთის იმპერიის ცენტრალურ და სახიფათო პუნკტზედ— ინდოეთის ოკეანეზედ.

ინგლისი სასწრაფო ზომებს მიმართავს, რათა აიცდინოს მოსალოდნელი მუშტი, ალბიონისათვის ჩვეული გზით — კონცესიებისა და შეთანხმებათა სახით. ადგილობრივი ინტერესების წინააღმდეგობაზედ ოსტატურის თამაშის იმ სახით, რომლითაც იმედი აქვს ბოლოს და ბოლოს ეს სახიფათო კავშირი ჩაშალოს.

სამთა პაქტი ექვს ნოემბერს იქმნა ხელმოწერილი. ცხრა ნოემბერს ჩემბერლენის განზრახვა უკვე მომწიფებულია, ამ დღეს ლონდონის ლორდ მერის ტრადიციულ სადილზედ, იგი ავანსებს აძლევს „ ორ დიდ სახელმწიფოს, მჭიდროდ დაკავშირებულ დაჯგუფებაში, რომელსაც ეწოდება „ ბერლინ რომის ღერძი“. ჩვიდმეტ ნოემბერს ლორდი ჰალიფაქსი, რომელიც დიდი ხანია რაც ინგლისელ გერმანოფილების წრეს ეკუთვნის (ლორდი ლოტიანი, ლორდი და ლედი ასტორები, „ტაიმსის“ რედაქტორი ჯოფრეი დევსონი, ლორდი ლონდონდერი და სხვ.) გერმანიაში მიდის. ინდოეთის ყოფილი ვიცე - მეფე ფიურერს, გერინგს, გებელსს და ფონ ნეირატს ხვდება....

ფრანგული პრესის უდიდესი ნაწილი, ლონდონის ოფიციალური განცხადებით დაიმედებული, პირველში მზა არის ლორდ ჰალიფაქსის ვიზიტის მნიშვნელობა შეამციროს, იმ საბუთით, რომ საიდუმლო რჩევის ლორდ თავმჯდომარეს ოფიციალური მოლაპარაკების რწმუნებულება არა ჰქონდა და მხოლოდ ინფორმაციული ხასიათის მისია ჰქონდა დაკისრებული, მაგრამ ეს ილუზია დიდხანს არ გაგრძელებულა. ამ წერილის სათავეში მოყვანილი ციტატები და საზოგადოდ მთელი პრესის ტონი, განსაკუთრებით პრემიერ - მინისტრის, შოტანის და გარეშე საქმეთა მინისტრის დელბოსის ნაჩქარევად ლონდონში მიწვევის შემდეგ, მოწმობს, რომ საპასუხისგებლო გადაწყვეტილებათა მიღების ჟამი და დგა. იმ საუბრის სწორი შინაარსი, რომელიც ლორდ ჰალიფაქსს ბერხტესგადენში და ბერლინში ჰქონდა და რომელიც შემდეგ ფრანგ და ინგლისელ მინისტრების სასაუბრო საგანიც გახდება, რა თქმა უნდა არავინ იცის.

მაგრამ ეჭვი არ არის, რომ ამ საუბრის მთავარი საგანი, რომელიც გერმანიას და ევროპას აინტერესებს— ავსტრიისა და ჩეხოსლოვაკიის საკითხები იყო. ლაპარაკი იყო, უეჭველია, ყოფილ გერმანულ კოლონიების დაბრუნების შესახებაც. მაგრამ ეს საკითხი, რომელსაც გერმანელებისათვის უფრო პრინციპიალური ხასიათი აქვს, ისეთი საჭირბოროტო და აკტუალური საკითხი არ არის, როგორც ანშლუსის საკითხი და სუდეტის გერმანელთა საკითხი ჩეხო - სლოვაკიაში.

უსარგებლო იქნებოდა, რომ კაცმა სინამდვილეზედ თვალი დახუჭოს. ამ საკითხების დასმა მოასწავებს, რომ გერმანია, თავის მო-

კავშირეთაგან მორალურად ზურგ - გამაგრებული, მოითხოვს ვერსალის ხავის უკანასკნელი სატერიტორიო მუხლების გაუქმებას. საკითხი, რომელიც დღეს ყველას ამღელვარებს ის არის, თუ როგორი იქნება ინგლისის პოზიცია გერმანიის ამ მოთხოვნილებათა მიმართ.

უკვე ეხლავე შეიძლება აპრიორი ითქვას, რომ სწორი არ არიან ის მეთვალყურენი, რომლებიც ფიქრობენ, რომ საფრანგეთის კონსერვატორული პოლიტიკა, მიხრილი იქით, რათა დაცულ იქმნას ომის მერმინდელ ხელშეკრულობათაგან შექმნილი ტერიტორიალური სტატუს ქვო, ინგლისის მიერ შემდეგშიაც უთუოდ იქნება მხარდაჭერილი.

შეუძლებლობა იმის, რომ ევროპის დღევანდელი საზღვრების შენარჩუნება უომრად კიდევ მოსალოდნელია, სავსებით აშკარა გახდა. თუკი დღეს მსოფლიო პოლიტიკაში რაიმე აკსიომა კიდევ არსებობს, ეს არის ის, რომ ამ ჟამად ინგლისს არა სურს და არც შეუძლიან იომოს და ისიც სხვის ინტერესებისათვის.

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ფრანკო - საბჭოთა პაქტი არასოდეს ინგლისის სიმპატიებს არ იწვევდა. ინგლისელები მხოლოდ ბრაზიანი დუმილით ითმენდნენ, ვიდრე მას საბჭოთა რუსეთის სამხედრო პოტენციალი კიდევ სწამდა დ0 ვიდრე ეგონა, რომ მოსკოვი ევროპაში წონასწორობისათვის და შორეულ აღმოსავლეთში ძალად გამოდგებოდა.

მაგრამ მას შემდეგ რაც გენიოსმა ყასაბმა სტალინმა წითელ არმიას თავისი განთქმული ქირურგიული ოპერაცია გაუკეთა, ხოლო შორეულ აღმოსავლეთის ამბებმა აშკარად დაგვანახვეს, რომ ს. ს. რ. კ -ის სამხედრო ძლიერება მხოლოდ ვულგარული ბლეფია, როცა გამოირკვა, რომ წითელ რუსეთს არ შეუძლიან დამზადებული საზარბაზნო ხორცი იყოს არც გერმანიის, არც იაპონიის წინააღმდეგ, ლონდონმა ცივი ამრეზილობით უქცია ზურგი მოსკოვს. ინგლისს გული არ უდევს აგრეთვე ჩეხო - სლოვაკიისადმი, როგორც არა სჯერა ისიც, რომ საბოლოოდ შესაძლებელია ხელი შეუშალოს ვინმემ ავსტრიას ანშლუსის საკითხში, განსაკუთრებით გერმანია - იტალიის შეთანხმების შემდეგ.

უფრო დიდი გულუბრიყვობაა, რა თქმა უნდა, ფიქრი იმის შესახებ, თითქოს ინგლისი ვერ ერკვევოდეს კრემლისა და პრაგის ინტრიგებში პარიზში და ნებას მისცემს ვისმეს თავი ჩაათრევინოს ევროპის კონფლიკტში, რათა თავიდან ააცდინოს რუსეთს ან ჩეხო - სლოვაკიას წამდვილი თუ წარმოდგენილი საფრთხე.

პირიქით, მრავალი საფუძველი არსებობს ვიფიქროთ, რომ ჩვეულებრივის რეალიზმით და მოქნილობით, დიდი ბრიტანეთი ყველაფერს იზავს, რომ გერმანიის ყურადღება ლამანშის ნაპირებს დააცდინოს, რათა რეინის ნეიტრალიზაცია შესაძლებელ ჰყოს და უზრუნველჰყოს თავისი საიმპერიო გზები, განსაკუთრებით კაირ - კეთილ იმედის კონცხის არტერიები. ასეთი მიზნების მისაღწევად ინგლისი იძულებულია გერმანიასთან დათმობის გზას დაადგეს.

რანაირი იქნება ეს დათმობა, ამაზედ შეიძლება ვიფიქროთ თუნდა იმ განცხადებით, რომლებიც ამას წინად ლონდონის პრესამ გააკეთა.

უგამოჩენილესი ინგლისის პუბლიცისტი, გავლენიან ინგლისურ გაზეთის „ობსერვერ"ის ხელმძღვანელი, ბ. გარვინი გულახდილად აცხადებს:

„ ინგლის - გერმანიის შეთანხმების აუცილებლობა მომწიფდა, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ უნდა ვინახავდეთ ჯეროვან განწყობილებას საფრანგეთთან, მაგრამ თუ პარიზი თავის ანტი გერმანულ ბლოკის იდეიაზედ გაჯიუტდა, რუსეთთან ერთად, მაშინ ჩვენ

იძულებული ვიქნებით ჩვენთავად ვიმოქმედოთ. ბრიტანეთის იმპერიას არ შეუძლიან კატასტროფისათვის თავი გადასდოს, მხოლოდ საფრანგეთის გულის მოსაფხანად, რომელიც დამოუკიდებელი პაკტებით შეეკრა მოსკოვსა და პრაგას.

უარს ვიტყვით რაიმე ჩარევაზედ შიდა და აღმოსავლეთ ევროპის საქმეებში — და ეს ჩვენ მოგვცემს ზავს, რომელიც უზრუნველ გვყოფს ოცდა ხუთი წლით“ო..

ასევე მსჯელობს „სენდეი ტაიმსი“, რომელიც ასკვნის: „თუ არა საფრანგეთის აღმოსავლეთი მოკავშირენი — ზავი ევროპაში უზრუნველ ყოფილი იქნებოდა, თუნდა ჩვენი თაობისთვის“ო.

ეს ციტატები იმას მოწმობენ, რომ ბ. ბ. შოტანს და დელბოსს ლონრონში მართლა ძნელი და რადიკალური ამოცანა ელის. ვუსურვებთ, რომ ეს ამოცანა საფრანგეთისა და ევროპისათვის მართლა საკეთილოდ გადაჭრილიყოს.

ჰაიდარ ბამმატ

## სამთა კავშირის გამო

ამ ჟამად სამ დიდ სახელმწიფოთა შორის უკვე მტკიცე პაკტი შეიკრა კომინტერნის ანუ უფრო სწორედ რომ ვსთქვათ კომუნიზმის წინააღმდეგ და საბჭოთა რუსეთის საშიშროებას ცენტრალურ ევროპიდან მოყოლებული თვით შორეულ აღმოავლეთამდის ჯაჭვის რკალი შემოევლო. გერმანია, იაპონია, იტალიას გადაწყვეტილი აქვთ რუსეთის ბოლშევიზმი ძირიან ფესვიანად ამოაგდონ, საკაცობრიო საშიშროებას ბუნაგი და საბუდარი მოუშალონ. ამ გარემოებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ზოგიერთა დიდსა და პატარა სახელმწიფოთა მართველ წრეებში და პოლიტიკურ მოღვაწეებში დიდი მათქმა მოთქმა გამოიწვია.

საბჭოთა რუსეთის მოტრფიალე, მეგობრულად განწყობილმა სახელმწიფოებმა სამთა პაკტი სამხედრო კავშირად დასახეს, რომლის ფარული მიზანი ყოფილა დიდი რუსეთის დაშლა - დანაწილება. რუსეთის დაშლა, ეტნოგრაფიულად დანაწილება- კი მათ თავიანთ ერისა და სახელმწიფოს დიდ საშიშროებად წარმოუდგენიათ.

დღეს უსინათლოსათვისაც ნათელია, რომ საბჭოთა რუსეთი თვითეულ კულტურულად და უფლებრივად მოწყობილ სახელმწიფოსათვის, განურჩევლად მტერ - მოყვარისა უდიდესი საშიშროებაა. მიუხედავად ამისა ზოგიერთი ერები ერთნაირ განცხრომას მისცემიან; ერთხელ და ერთხელ რუსეთისადმი აღებულ მეგობრულ ხაზს არ ეშვებიან და თავმართელი და თავგატეხილნი დიდი და მთლიანი რუსეთის მოსარჩლეთ გამოდიან. თითქოს რუსეთის წინააღმდეგ აღებული გეზი მათ წინააღმდეგ აღებული გეზი იყოს და საბჭოთა რუსეთის მტერი - მათი საკუთარი მტერი. თითქოს შიშით კრთიან ჩვენს ბუნებრივ მოკავშირეს გვერდი არავინ ჰკრას და ხიფათში არავინ ჩაგვიგდოსო.

თვით დიდი ბრიტანეთი — ეს ისტორიული რუსეთის დაუძინებელი მტერი, ეს ერთი მეორის მოწინააღმდეგე სახელმწიფოები, რომლებიც თითქმის ორი საუკუნის მანძილზე ერთი მეორეზე კბილებს ილესდენ, — დღეს თითქოს მეგობრობას ეფიცებიან. ზღვთა ვეშაპმა - ინგლისმა რუსეთზე დიდი ხხით მოღერებული ხმალი თითქოს ქარქაშში ჩაგო და რუსეთს სამეგობროთ ხელს უწვდის, ვითომდა საერთაშორისო მშვიდობიანობის დასამყარებლად. მაგრამ ჩვენის აზრით ინგლისის რუსეთისადმი პოლიტიკის გარეგნული სახეობა მაცდურია, იგი არ არის ნამდვილი

მიზნისა და შინაარსის გამომხატველი. მეცხრამეტე საუკუნის ერთი გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე ამბობდა: თუ როდისმე რუსეთს საგარეო პოლიტიკაში კისერი მოუტეხია —ეს სულ ინგლისის მოხერხებულ წაქეზების პოლიტიკის მეოხებით ხდებოდაო. შორი ახლო წარსულის ისტორია ამის აუარებელ საბუთებს იძლევა. როცა კი რუსეთი საგარეო საქმეებში იარაღით ხელში ჩაერია და ამ ბრძოლებში ფეხი მოიტეხა, ყველა ეს ინგლისის წაქეზებით მოხდა. მართლაც, დიდი ინგლისის საგარეო პოლიტიკა და მისი საგარეო მიზანი ისეთი შორი და საპერსპექტივო გამსჭვრეტელობით არის მოხაზული, რომ ჩვეულებრივი, უბრალო სიკვდილის შვილი მის ლაბირინტებში ადვილათ ვერ გააგნებს გზას. საცა ჩვენ დიდი მეგობრობა და მოსარჩლეობა გვეჩვენება, შეიძლება სწორედ იქ იდგმებოდეს რუსეთის კისრის მოსატეხი მახე. ამას რასაკვირველია ახლო თუ შორი მომავალი დაგვანახვებს. მანამდის კი ჩვენ კავკასიის მცხოვრებნი ფინიკიელებივით მშვენიერ ამინდს უნდა ველოდეთ.

არც თუ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების რუსეთისადმი დამოკიდებულება არის გარკვეული სახის მატარებელი. ამერიკის რუსეთისადმი მტრობა - მეგობრობა ისეა ერთიმეორეში ჩაწნულ -ჩაგრეხილი, რომ აქ პოლიტიკური კვანძის გამოხსნა არც ისე ადვილი საქმეა.

სამაგიეროთ რუსეთის საგარეო პოლიტიკა ყველასადმი აშკარა და დღესავით ნათელია. საბჭოთა მთავრობა და მისი მთავარი ორგანო მესამე ინტერნაციონალი, მხარი - მხარ გადაბმული, ხელი - ხელ ჩაკიდებული, სრული შეთანხმებით მოქმედებენ კაცობრიობის კულტურული ცხოვრების დასანგრევად. ხალხთა ლიგაში შემავალი ზოგიერთი სახელმწიფოები და ეგრედ წოდებული სახალხო ფრონტი რუსეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკის მავნებლობას ხელს აფარებენ, თვალთ მაქცობით სენს მალავენ. მაგრამ ხალხის ბრძნული თქმულებაა: კაცმა ჭირი მალაოს, მაგრამ ჭირმა თავი არ დამალაო. ეს სწორეთ ზედ გამოჭრილი ანდაზაა რუსეთის მოტრფიალე პოლიტიკოსებზე. საბჭოთა რუსეთი სწორედ მეგობრულად განწყობილ სახელმწიფოებში მუშაობს მატლივით, მოძმე კომუნისტური პარტიის დახმარებით საშინელ სენივით ფქვავენ ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ორგანიზს. ფარულად და ხშირად აშკარად საქმიანობენ —მეგობრულად განწყობილი სახელმწიფოს ასაფეთქებლად. ასე საქმიანობენ ევროპაში, ასევე მოღვაწეობენ შორეულ აღმოსავლეთში და ასეთივე საქმიანობა უნდათ გააჩაღონ მთელ დედამიწის ზურგზე.

მთელი ოცი წლის განმავლობაში კაცობრიობის, დედამიწის მეექვსედი ნაწილის ბატონ - პატრონები არიან, ცეცხლითა და მახვილით, ერთხელ და ერთხელ შემუშავებულ თეორიას, განყენებითი იდეოლოგიის ცხოვრებაში გატარება - განხორციელებას ლამობენ და მაინც მთელ ამ გრძელ მანძილზე ხელში რა შერჩათ: სიკვდილი და სამარე, ჯოჯოხეთი, საცა მუდმივი შიმშილი, სიცივე და კბილთა ღრეჭნაა; სანეტარო სამოთხის მაგიერ მიქელ გაბრიელი ხელში ცელით მოგვევლინა და მუსრს ავლებს კაცობრიობას. ევროპის ცრუ სოციალისტებს იმედი გაუცრუვდათ; სალონის ბოლშევიზანებს ანგარიშები მთლად აერიათ და უკეთესობის მაგიერ ხელთ ქაოსი შერჩათ. ას სამოცი მილიონი მცხოვრებნი ჯოგათ და ფარათ გადააქციეს, სულიერი ინდივიდუალური ცხოვრება, შენჩემობა, საკუთარი ბინადრობა და ცხოვრება დაუკარგეს და ურიცხვ ხალხს ისე ზელენ, როგორც მათ მოეპრიანებათ. ეგვიპტის ფარაონებმა, მონათა სისხლ ხორციდან გამონაწური ენერგიით, კაცობრიობას დაუშლელ -დაურღვეველი პირამიდები მაინც დაუტოვეს, საბჭოთა რუსეთის გამგე -ბრძანებლებმა კი ქვეყნის შესაზარად, დედა-მიწის მეექვსედი

ადამიანთა ძვლებით მოკირწყლეს, რომლის მოგონება - გახსენება კაცობრიობას მომავალშიც შიშის ზარს დასცემს.

ის თვალსაჩინო ძალა „სამხედრო სიძლიერე", რომელიც რუსეთის მოტრფიალე სახელმწიფოებს ეჩვენებათ, მხოლოდ ამაოთ მეოცნებე პოლიტიკურ მოღვაწეთა ფანტაზიაა; ჯერ- ჯერობით მათ ეს „სიძლიერე" თავიანთ უახლოეს მცხოვრებთა და პატარა ერების წინააღმდეგ გამოიჩინეს. მაგრამ დიდ სახელმწიფოთა წინაშე, რომელთაგანაც გადულახველი ზღუდით შემოიფარგლენ, შიშით იკრუნჩხებიან, თავის ნაჭუჭში იმალებიან, და ხმალზე ხელის გაკვრას ვერ ბედავენ. დეე, რუსეთის მეგობართა სახელმწიფოებმა რუსეთის სამხედრო სიძლიერით თავი ინუგეშონ, რუსეთის მოწინააღმდეგეებმა მისი ავლადიდება და მისი ფარ - ხმალი კარგად იციან.

ვინც როგორ უნდა იოცნებოს რუსეთის ცხოვრების სიმშვენიერეზე, საბჭოთა რუსეთის სამხედრო სიძლიერეზე, მის მეგობრულ ერთგულებაზე. ჩვენ კავკასიის მცხოვრებთ დიდი ხანია ვიწვნიეთ მათი სივაგლახე, და ნურას უკაცრავად, თუ მთელი ჩვენი იმედები იქით იქნება მიზიდული, რომელსაც ნაციონალისტური მოძრაობა ეწოდება, ჩვენდა საბედნიეროთ ქვეყნის დამქცევ რუსეთის ბოლშევიზმს წინ წამოუდგა ნაციონალისტური მოძრაობა გერმანია - იაპონია - იტალიის სახით და ჩვენი ფალავნებიც ესენი იქნებიან. ეს მოძრაობა მთელი თავისი შინაარსით უალრესად ეროვნული მოძრაობაა და სამკვდრო საციცოცხლო ბრძოლას უწევს ქვეყნის დამშლელ - გამანადგურებელ ბოლშევიკურ მოძრაობას.

ნაციონალისტურ - სოციალისტური მოძრაობა არ არის შაბლონური ტიპის მოძრაობა, რომელიც უნდა გერმანიის მოძრაობის სრული მგზავსებით გადინერგოს ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში, გერმანიის ერის ბელადმა ადოლფ ჰიტლერმა ერთ - ერთ ნაციონალ სოციალისტურ კონგრესზე განაცხადა: ნაციონალ - სოციალიზმი გერმანიის პატენტიავო, სხვა და სხვა ერში ეს მოძრაობა თავისებურ სახეს და ფორმას მიიღებსო. ეჭვს გარეშეა, დასახელებული მოძრაობა თვითეულ ერში, როგორც სარწმუნოება, თავისებური სახით ჩაისახება და თვითეული ერი თავის ეროვნულ დალს დაასვამს. მაგისტრალური დენაკი, - ე.ი. ეროვნული მოძრაობა, სამოქალაქო მშვიდობიანობა, კლასთა თუ ძმათა ბრძოლის უკუგდება, ყველგან დიდი მდინარის დენის სახეს მიიღებს ერისა და ხალხის საბედნიეროთ. სამოქალაქო და კლასთა ბრძოლა, ძმა - ძმის წინააღმდეგ ამხედრება, კავკასიის ერთა შორის ერთხელ და სამუდამოთ უნდა ამოიშალოს, სამაგიეროთ ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის, ერის განსამტკიცებლად, აი რა უნდა დაედოს ფუძეთ ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებას. მთელი საუკუნოების განმავლობაში კავკასიის ერებს ამ გზით უვლიათ, ეს ცნება ჩაუბეჭდიათ თავიანთ გულის ფიცარზე და ამ ცნების მეოხებით უტარებიათ თავიანთი ცხოვრება. ვაი, იმ ერს, ამბობს ბრძენი ილია ჭავჭავაძე, ვინც „მეს" წინ წამოაყენებს და „ჩვენ" კი უკანა რიგებში ჩადგებაო.

რუსეთის ბოლშევიკებმა მთელი თავისი „მშენებლობა" მარქსის სოციალ - პოლიტიკურ თეორიაზე დაამყარეს. ეს მოძრაობა თითქმის ერთი საუკუნის წინეთ შემუშავდა და დღევანდელ სინამდვილესა და მარქსის პრაქტიკულ პროგრამის შუა დიდი უფსკრული გაითხარა. ოცი წელიწადია რუსეთის კომუნისტებს მარქსის მოძღვრება წინ დაუდვიათ მართლ მორწმუნე თალმუდისტებივით, თვალ დახუჭულნი, ოცნებობენ მის ცხოვრებაში გატარებას, მაგრამ რასაც სინამდვილეში ვუცქერით ამას მთელი ქვეყანა აშკარად ხედავს. არის ჩვენში ხალხი, რუდიმენტალური თავის მოწყობილობით, რომელიც მთელი თა-

ვისი შეგნებით ღრმად დარწმუნებული არის, რომ მათ ხელში მარქსიზმი, მისი სოციალურ პოლიტიკური პროგრამა, საბედნიერო ნაყოფს გამოიღებდა, დიდათ იხეირებდა. ის ფიქრობს, რომ მარქსიზმის საუკეთესო გასაღები მათ ხელთ არის და როცა დრო და გარემოება საშვალებას მისცემთ, ჩვენ ქვეყანას სამოთხის კარებს გაუღებენ. აქ იაგოსდენა გერმანიაში ყველასათვის ცნობილი ამბავი. გერმანიაში ყველა ზეინკალს აქვს ერთგვარი მოკაუჭებული მავთული, სულ უბრალო კონსტრუქციის, რომელსაც დიტრიხის გასაღებს ეძახიან. მართლაც ამ გასაღებით მოხერხებული ზეინკალი ყოველგვარ რთულ მოწყობილების კლიტეს გააღებს. ალბათ მარქსიზმის დიტრიხის გასაღები ჩვენებურ მარქსისტებს პეტრე მოციქულივით ქამარზე ჰკიდიათ და იმედი აქვთ, რომ როცა მომავალში ჩვენი ხალხის სვე . ბედი კვლავ ხელში ჩაუვარდებათ, სულ უბრალოთ და უფათერაკოთ სამოთხის კარს გაუხსნიან. დეე, იოცნებონ, ავარჯიშონ თავიანთი გონება თავიანთი ორგანოების ფურცლებზე, კვებონ და ასულდგმულონ ემიგრაციის ერთი ნაწილი. ჩვენი ხალხი კი დიდი ხანია დარწმუნდა კომუნიზმის სავალალო საქმიანობაში და კავკასიის ერები არას დროს აღარ გაიხდიან თავს ვისმე სავარჯიშოთ და თავის შესაქცევათ.

დღეს რუსეთის ბოლშევიზმს, რუსეთის კომინტერნს დაუპირდაპირდა ნაციონალ სოციალისტური გერმანია - იაპონია - იტალის ეროვნული მოძრაობა. ან ერთი უნდა იყოს ან მეორე. კავკასიის ხალხს სხვა არჩევანი არა აქვთ. ან ერთს უნდა მიემხროს, ან მეორეს. ემიგრაციის ერთი ნაწილი შეიძლება რყევაში, მაგრამ ამათი ხრინწიან მოძახილს კავკასიის მცხოვრებნი ყურს არ ათხოვებენ. იმათ თავზე რუსული კომუნიზმის წისქვილის ქვა არ დატრიალებულა თორემ სხვა ყველაფერი გადახდათ. მთელი მათი სიმპატია, იმედები სამთა კავშირის გამარჯვებისაკენ იქნება და რუსეთის კომუნიზმისაგან ერთხელ და სამუდამოთ გამიჯნულნი არიან.

**ვლ. ახმეტელი.**

---

## ზოგი ერთი პოლემიკის გამო

უკანასკნელ ხანებში, სხვა და სხვა საბაბის გამო, ამ ფურცლებზედ, არა ერთხელ ითქვა, რომ ჩვენი დროის პოლიტიკურ ვითარებაში ე. ი. ეხლა, 1937წელს, სამხრეთ საზღვრების საკითხის გადასინჯვა, საზღვრების რომლებიც საქართველოს, სომხეთს და აზერბეიჯანს ოსმალეთისა და ირანისაგან ჰყოფენ, დღიურ საჭირ-ბოროტო საკითხად ვერ ჩავთვლით და პრაქტიკული პოლიტიკის ფარგალს არ ეკუთვნისო. ასეთი მსჯელობა დაკავშირებული იყო როგორც ახლო აღმოსავლეთში არსებულ საერთაშორისო მდგომარეობის განსაზღვრულ შეფასებასთან, ისე მეზობლურ ურთიერთობის თვალსაზრისით თვით კავკასიის ერთა შორის.

ასეთმა დასკვნამ რომ კრიტიკა გამოიწვიოს ფრიად გასაგებია. ამის უფლებას ჩვენში, მადლობა ღმერთს, მოკლებული არავინ არის. საქმეთა ვითარების გაშუქება ახლო აღმოსავლეთში შესაძლებელია სხვანაირადაც თუ კი ამისი სურვილი და საბუთიც არსებობს. სხვანაირად შესაძლებელია შევხედოთ აგრეთვე თვით ამ ერთა მეზობლურ დამოკიდებულებას კავკასიაშიც. ასე იხსნება ხოლმე კამათი მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხების

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამო, ან და ხდება მათი უფრო მეტი გაშუქება. მაგრამ აქ სხვა რამეს ჰქონდა ადგილი.

ქართული ემიგრანტული პრესის სხვა და სხვა ორგანოში, ერთსულ და ერთგულ, რაიცა სანაქებო და იშვიათიც არის, და გაწიწნატებულათ, თუ გნებავთ, სიმპატიურად, მაგრამ ყოყოჩურად, გაოგნებულად ეტაკა „კავკაზს" და განსაკუთრებით მის ქართველ თანამშრომლებს, თითქოს მათ უარი ეთქვათ საქართველოს საღმრთო უფლებაზედ იმ პროვინციებზედ, რომლებიც ბოლშევიკებმა ყარსის ხელშეკრულების ძალით, 1921 წელს ოსმალეთს დაუთმეს. ისინი (ჩვენი კრიტიკოსები) ამას არა სცნობენ. ისინი საგუშაგოზე სდგანან; ისინი პროტესტს აცხადებენ, ისინი სეირს უჩვენებენ და სხვა. მთელი რიგი წერილებისა სავსეა ცრუ პატრიოტული დეკლამაციით, ცილის წამებასთან ნარევი, რომელიც ეტყობა, რომელიღაც მოთხოვნილებას აკმაყოფილებს: სკანდალისას, ცილის წამებისას, ლანძღვისას.

რაკი სიტყვა ამაზედ ჩამოვარდა, უნდა იმ საკითხზედაც შევჩერდეთ, თუ ვინ იყო და როდის იყო რომ საქართველოს და საზოგადოთ კავკასიის ტერიტორიას ოსმალეთს უთმობდა?

მივმართავ რა მხოლოდ მათ, ვისაც კავკასიური პოლიტიკის საკითხი არსებითად აინტერესებს, მოვაგონებ, რომ ხრონოლოგიურად პირველი საერთაშორისო აქტი, რომელმაც სამხრეთ საზღვრების მდგომარეობაში ძირითადი ცვლილება შეიტანა, მას შემდეგ, რაც 1914 წლის ომი დაიწყო, 1918 წლის 3 მარტის ბრესტ- ლიტოვსკის ხელშეკრულება იყო, მაშინ ჩამოაცალეს კავკასიის ტერიტორიას სამი ყოფილი სანჯაყი: არდაგანი, ყარსი და ბათუმი, ოსმალეთისაგან ბერლინის ტრაქტატის (1878წ.) ძალით რუსეთზედ გადმოსული, 1877 წლის ომის შემდეგ. ამათგან შეიქმნა ორი ოლქი: ბათუმისა, რომელშიაც შედიოდნენ ბათუმის და ართვინის მაზრები და ყარსისა, რომელიც შესდგებოდა ყარსის, არდაგანის, ოლთისის და ყაგიზმანის მაზრებისაგან.

როგორც ცნობილია, ბრესტ- ლიტოვსკის კაპიტულაციამ და აგრეთვე დამფუძნებელი კრების გარეკით გამოწვეულმა რეაქციამ ხელი შეუწყო დამოკიდებულ ერებს რუსეთის იმპერიისაგან გამოყოფის და სახელმწიფო დამოუკიდებლობის გზას დასდგომოდნენ.

შეიქმნა დღე მოკლე კავკასიის რესპუბლიკა. მას არ ჰქონია ბედი არც დიპლომატიური, არც სამხედრო ასპარეზზედ. (ტრაპიზონის კონფერენცია; ბათუმისა და ყარსის დაჭერა ოსმალების მიერ, სულ 1918წ. გაზაფხულზე)

კავკასიელ ერთა ცდა, რომ ბრესტ ლიტოვსკის ხელშეკრულების ბრჭყალებიდან თავი დაეხწიათ, დიდათ სამწუხაროთ, არ გამართლდა. ბათუმისა და ყარსის ოლქების ჩამოცილება არდაგანთან ერთად, ამიერ კავკასიის დელეგატებს ჯერ კიდევ ტრაპიზონში უნდა ეცნოთ, 3 მარტს, 1918წელს, ა. ჩხენკელის მეთაურობით. ახალს კონფერენციაზედ, რომელიც ომის გაგრძელების უშედეგო ცდის შემდეგ, 1918წლის მაისში, ბათუმში შეიკრიბა, ულტიმატუმის სახით, ოსალებმა გაცილებით უფრო დიდი ტერიტორიალური მოთხოვნილებანი წარმოადგინეს. მათ მიერ წამოყენებული **ზავისა და მეგობრობის ხელშეკრულება შეიცავდა**, რომ უკვე ბრესტ -ლიტოვსკის ხელშეკრულებით მიღებულ ბათუმის და ყარსის ოლქებს ზედ დამატებოდა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები ტფილისის გუბერნიიდან. სხვა სიტყვით რომ ითქვას, საქართველო ჰკარგავდა ყველა იმ ძველ სამფლობელოებს, რაც მასთან იყო შეერთებული მეცხრამეტე საუკუნეში, ადრიანოპოლის და ბერლინის ზავის ძალით. სომხეთი ჰკარგავდა ალექსანდროპოლს და ალექსანდროპოლის და ეჩმიაძინის მაზრების უდიდეს ნაწილებს. ჰკარგავდა რკინის გზასაც ალექსანდროპოლ - ყარ-

სის გზით. ყოველივე ეს გაცილებით დიდი დანაკარგი იყო, ვიდრე ბრესტ - ლიტოვსკის ზავის განაჩენი.

მკითხველებს, თქმა არ უნდა, თითონაც ეხსომებათ, რომ ეგრედ წოდებული ამიერ კავკასიის რესპუბლიკა გასრისა სწორედ ამ მოთხოვნილებათა სიმძიმემ, იგი დაიშალა სამ თავის შემადგენელ ნაწილად. 1918წლის მაისის ბოლოში გამოცხადდა საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის დამოუკიდებლობა.

ულტიმატუმი, რომელიც მათ ყველას ერთად წარედგინათ და რომელზედაც ბათუმში ყველამ ერთად უარი სთქვა, ახლა მიღებული იყო ყველა რესპუბლიკების მიერ სათითაოდ, —იმავე ბათუმში. როდგანაც ამ ჟამად ლაპარაკია იმის შესახებ თუ ვინ და სად აიღო ხელი ეროვნულ ტერიტორიის ნაწილზად, ჩვენც მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ 1918წელს, 4ივნისს, ე. ი. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ მისმა დელეგატებმა ხელი მოაწერეს ზავისა და **მეგობრობის ხალშეკრულებას** ოსმალეთთან, რომლითაც საქართველო ოსმალეთს უთმობდა: ბათუმის, არდაგანის, ყარსის, ახალციხის და ახალქალაქის სანჯაყებს.

ვინ იყო, რომ საქართველოს მიერ ყველა მის მუსულმანურ პროვინციებზედ ასე სრულ ხელის აღების აკტს ხელი მოაწერა? საქართველოს მთავრობის პირველი თავმჯდომარე ნ. რამიშვილი; გ. გვაზავა; გ. რცხილაძე; გენ. ოდიშელიძე. დელეგატების ასეთი შერჩევა მნიშვნლობას არ არის მოკლებული: მმართველი სოციალ - დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო წევრის გვერდით იყვნენ პოლიტიკური მოღვაწენი, რომელთა პარტიული სახე ასეთია: გვაზავა ეროვნულ - დემოკრატი, რცხილაძე — სოციალისტ - ფედერალისტი, იქვე ავტორიტეტული ღენერალი*)

რა თქმა უნდა არავის აზრად არ მოუვა ამის გამო რამე საყვედური უთხრას დღესაც დღე გრძელ გ. გვაზავას და მის უკვე მიცვლილ ამხანაგებს ამ დიპლომატიურ მარცხში. არც ის ითქმის, რომ ამ ტერიტორიის დათმობის დროს მათ არა ჰქონდათ საამისო რწმუნებულება. პირიქით, ისინი გაგზავნა საქართველოს მთავრობამ და ისინი არა ყოფილან არც მოჭორილი დელეგატები, არც უზურპატორები, როგორც ბოლშევიკები (ბრესტ-ლიტოვსკში) ან ყარსში (1921წ.) რომელთა ხელის მოწერას ჩვენი ბ. ბ. კრიტიკოსები სწორედ ამ საფუძვლით არა სცნობენ.

ამაო მომიზეზება იქნებოდა აგრეთვე, ითქვას რომ ქართველ დელეგატების მიერ ბათუმში, 1918 წელს 4 ივნის ხელშეკრულების მოწერა აუცილებობით იყო გამოწვეული, ან რომ ამ ტერიტორიების დათმობას მაშინ აშკარად არა საბოლოვო ხასიათი ჰქონდა. საქმე სწორედ პირიქით იყო: აწერდენ რა ხალს ამ ხელშეკრულებას რწმუნებულები და მათი გამგზავნი დამოუკიდებელ საქართველოს მთავრობა, მათ არა ჰქონდათ სახეში და შეუძლებელია ჰქონოდათ, რომ გერმანია დამარცხდებოდა დიდ ომში და მასთან ერთად დამარცხდებოდა ოსმალეთიც. პირიქით, მათი გამარჯვება თუ უცილოდ არა, ყოველ შემთხვევაში შესაძლოთ ეხატებოდათ. ასეთ პირობებში კი შეუძლო ხდებოდა იმედი, რომ ბათუმის 1918 წლის 4 ივნისის ხელშეკრულებით დადგენილ საზღვრებს, მომავალში რაიმე საფუძვლიანი ცვლილება კიდევ მოელოდათ. შესაძლო იყო მხოლოდ ცოტა რამ შერბილება, თუნდა ისეთი, როგორც აბასთუმნისა და აწყურის საქართველოსათვის დატოვება, რისი თანახმანი ოსმალები მხოლოდ ბათუმში გახდნენ.

ამ ხალშეკრულებას რატიფიკაცია არ მო-

*) ამ წერილის თემისათვის ბევრი დაწვრილებითი ცნობა არის მოყვანილი ჩემს წიგნში: „ნეზავისიმოსტ გრუზიი ვ მეჟდუნაროდნოი პოლიტიკე. პარიზი 1924წ.

ჰყოლია საერთაშორისო მნიშვნელობის მიზეზების გამო. ძალე გამარჯვეულად გერმანიის მოწინააღმდეგეთა სასარგებლოდ გადაიხარა. შემდგომი საერთაშორისო აქტი, რომელიც ჩვენი სამხრეთის საზღვრებს ეხებოდა, წარმოშვა ისეთ პოლიტიკურ ვითარებამ, რომელიც შესამჩნევად გახირჩოდა იმ პირობებისაგან, რომელთა წყალობით ოსმალეთს ახალციხის, ახალქალაქის და ალექსანდროპოლის მაზრები საბოლოოდ მიჰქონდა, სევრის ხელშეკრულების ძალით (10 აგვისტო 1920წ.) საქართველო ოსმალეთის საზღვრებს სინამდვილეში ადგილი აღარა ჰქონდათ. საქართველოსა და ოსმალეთის შორის სომხეთი უნდა ჩაწოლილიყო კედლად. საქართველოსა და სომხეთის ურთიერთი განსაზღვრა თვით ამ რესპუბლიკათა თავისუფალი შეთანხმებით უნდა მომხდარიყო. თუკი ასეთი შეთანხმება მიხწეული ვერ იქნებოდა, საზღვრებს გამარჯვებული სახელმწიფონი გაიყვანდნენ და სხვა.

სევრის ხელშეკრულება რომ განხორციელებულიყო, საქართველოს ალბად შესაძლებლობა ექნებოდა დაებრუნებინა თავისთვის ყველა ის მიწები, რომლებიც ოდესღაც მას მკვიდრად ეკუთვნოდა (რა თქმა უნდა, გარდა ისეთების, რომლებიც სამართლიანობის მიხედვით ამიერიდან სომხეთზედ გადავიდოდნენ) მაგრამ ტერიტორიული საკითხების ასეთი სასიკეთო გადაჭრა დამოკიდებული იქნებოდა მთელრიგ შინაურ და გარე პოლიტიკურ წინასართებზედ; მცირე აზიაში და კავკასიაში დიდ სახელმწიფოთა ნამდვილ სამხედრო - პოლიტიკურ კონტროლზედ; კავკასიის რესპუბლიკათა ჯეროვან მოწყობაზედ, მათ გამიჯვნაზედ, სოლიდარობაზედ და სხვა. როგორც ცნობილია, არც ერთი ამ პირობათაგანი, არც ერთი ეს წინასართი არ განხორციელდა. კავკასიის რესპუბლიკები, რომლებიც თავისი სისუსტის მიზეზებს კი არ სპობდნენ, არამედ ამრავლებდნენ, საბჭოთა რუსეთის და ოსმალეთის ძალოლით, ერთდროულად დაეცხენ. ივიდი თვის ძეძდეგ სევრის ტრაქტატის ხელის ძალეოისა, ოლ ძევიკები და ოსძალები ძორიგდეეი საქართველო ოსმალეთის საზღვრების ეესახეი. ამ ეეთანხმებაში თავისი სახე გამოხატა იმ პოლიტიკურმა წონასწორობამ, რომელიც, როგორცა სიანს უფრო ძყარი და ხანგრძლივი აღმოჩნდა, ვიდრე ის საიდგანაც სევრის ხელ ეკრულება წარმოიშვა. იგი ეხლაც ისევ ძალაშია.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ საზღვრები ოსმალეთთან, რომლებიც კავკასიის რესპუბლიკებისათვის ყარსის 1921 წ. ხელშეკრულებამ უზრუნველჰყო, გაცილებით სასიკეთონი არიან, ვიდრე ის სამზღვრები, რომელზედაც ხელი მოაწერეს 1918 წელს საქართველოსთვის — რამიშვილმა, გვაზავამ, რცხილაძემ და ოდიშელიძემ და სომხეთისათვის — ხატისიანმა, ყაჩაზნურმა და პაპაჯანოვმა. ბოლშევიკების დროს საქართველომ შეინარჩუნა ბათუმი, ახალციხეზად და ახალქალაქზედ რომ არაფერი ვსთქვათ, ხოლო სომხეთმა — ალექსანდროპოლი. მაგრამ უგუნურობა იქნებოდა, რომ ამის გამო ერთნი ვლანძღოთ ან მეორენი ვადიდოთ. სინამდვილეში, იმ კრიზისს დროს, რომელიც მოჰყვა ომებსა და რევოლუციებს 1914 — 1921 წლებში, საქართველო — ოსმალეთის საზღვრები თუ მაგალითისთვის მას ავიღებთ, პირს იცვლი და იმ ფაქტორთა მიხედვით, რომელთა შორის თვით საქართველო გადამჭრელი არ იყო.

რად მოხდა ასე? უმთავრესად, რა თქმა უნდა, იმიტომ რომ საზოგადოთ მოუწყობელი, ან არა საკმაოთ მოწყობილი ქვეყნისათვის, რომელსაც რაიმე მიზეზის გამო (მაგალითად შინაგანი პოლიტიკის მოსაზრებით) არა სურს ისე მოეწყოს სამხედრო ძალების მხრით, როგორც ეს საჭიროა, უძნელდება ბრძოლა საზღვრებისათვის ისეთი მოწინააღმდეგის წინააღმდეგ, რომელიც უკეთ არის შეიარაღებული. სხვა პირობებში სურათიც სხვა იქნებო-

და. ყოფილა, რომ უდიდესი საძიებლო სახელმწიფო აქა თუ იქ დროს, წელიწად ფეხს იდგავდა და ძალიან დიდი სიხალის ღვიის ძეძლეგ სჯაბნიდა საქართველოს გაძალეობას, სხვოდ იქ ადგილებში, როძლებსაც ივეხს ახალ დროში „საძუსულმანო საქართველოს“ სახელით აღნიშნავენ. ამ ძრრით ძესახიძნავია საქართველოს ძეფის გიორგი პირველის ომი ბიზანტიის იმპერიასთან იქ მემკვიდრეობის გამო რომელიც დარჩა საქართველოს, სომხეთის და ბიზანტიის ისტორიებში განთქმულ დავით კურაპალატს. ვისაც კავკასიის მხარეთა სამხედრო და პოლიტიკური წარსული აინტერესებს, მას შეუძლიან თავისი ქვეყნის ისტორიის ამ მნიშვნელოვან ეპიზოდს თუნდა ჩემი ნარკვევიდან გაეცნოს, რომელიც 1933 წელს ბრიუსელის „ბიზანტიონ“ში იყო დაბეჭდილი. ამ ნარკვევში შეტანილი ჩემი შენიშვნებით (საარგებლა ერნსტ ჰონიგმანმა, თავის 1935 წელს გამოსულ დიდი შრომისათვის — „ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთი საზღვრები 363 წლიდან 1071 წლამდის“, რომელსაც დართული აქვს საყურადღებო რუქა, თუ სად გადიოდა საქართველო — ბიზანტიის საზღვარი მეთერთმეტე საუკუნეში. მაშინ საზღვარი ჭოროხზედ იდო. არტანუჯი, არტაანი საქართველოს რჩებოდა. იმპერიის მთავარ შესაძენს ტაო წარმოადგენდა, ანუ სომხური ტაიკი, ოლთისით, დავით კურაპალატის ძირითადი სამფლობელო — რის გამოც სწარმოებდა ეს დიდი სტილის და დიდი ძალ გამოჩენის ომი.

იტყვიან: საჭირო კია ასეთი შორეული წარსულის მოგონება —მეთერთმეტე საუკუნის მოგონება! — მეოცე საუკუნის მეორე მეოთხედის პოლიტიკურ მღელვარებათა, კამათებისა და რევოლუციების შორისო? გამოდის რომ საჭიროა და დიახაც საჭირო, რადგან ვიგონებთ რა ზედმეტი სუმბუქობით ჩვენ ძველ უფლებებს, გვავიწყდება ის გარემოება თუ რა მძიმე სასყიდლით იყვნენ შეძენილნი და შენარჩუნებულნი ისინი. ურიგო არ იქნება, რომ ხახდაბაბ ესეც გვახსოვდეს: ძეორე ძხრით თუძცა აია იქ ზოგით, როგორც ეს სომხებსა სჭიროთ, ძაგრამ ძაიხც, უკვე გადასულ დროების მწიგხობრულ ძოგოხეებას ქართველებიც რევენ დღევახდელ თავის პოლიტიკურ განცდებში და არ ატარებენ მათ კრიტიკის ჯეროვან ცხრილში, ხამდვილი ისტორიის თვალსაზრისით, თუ როგორ შეიქმნა იგი საუკუნეთა განმავლობაში, უკვე მხოლოდ ეპოქათა შემდეგ და იდეებსა აზრის ნაშენობის სიცოცხლე მისცა. ამიტომ ვინც ამ ძველ უფლებებს ასეთის ეშხით იგონებს, მას არ უნდა ავიწყდებოდეს, საქმის მეორე მხარეც — მსხვერპლობა. საჭიროა აგრეთვე: მიზნის საკუთარ ღონესთან შეფარდება.

მაგრამ რანაირიც არ უნდა იყოს ეგრედ წოდებულ სამუსულმანო საქართველოს პროვინციების მნიშვნელობა ქართული კულტურისა და პოლიტიკის ისტორიაში — ყველამ იცის, ან მოვალეა იცოდეს, რომ ის იყო დიდათ მნიშვნელოვანი — დიდი ხანია ამ პროვინციებმა არსებითად ღრმა ცვლილებანი განიცადეს. კულტურის ძეგლები ნანგრევებათ იქცნენ, მრავალი მიზეზის გამო გაჰქრა აქედან ის ცხოვრება, რომელიც ერთხელ სდუღდა. შეიცვალა ექაური ხალხი, მათი რჯული, მათი სულისკვეთება. რა თქმა უნდა შენახულია — და დაცულ უნდა იქმნას — ხსოვნა, რომ ეს კუთხეები და საქართველო ერთი და იგივეა, მაგრამ არ უნდა გვავიწყდებოდეს ისიც, რომ მათმა კავშირმა ოსმალეთთან რთულსა და აგრეთვე „ისტორიულ“ პროცესში, თავის და კვალად წარმოშვა ტრადიციები, გრძნობები, პოლიტიკური და კულტურული კავშირები.

მე-18-ე საუკუნეში, უკანასკნელი ქართველი მეფენი, ამ ოტომანთა იმპერიის მიერ დაჩემებულ ქართული გვირგვინის მიწებზედ არას გზით ხელს არ იღებდნენ და იმედი ჰქონდათ მათი შემოერთება რუსეთის მეოხებით მო-

ეხერხეოიხათ. ამ ძიწების მნიშვნელოვანი ნაწილი, ადალციდგან ძოყოლეოული ბათუმამდის და ფოთიდგან ოლთისაიდის ძართლა დახსნილი იყო და, თუ გხებავთ საქართველოსთან ეიძოეოთეოული, ყოველ შეძთხვევაში გაერთიანეოული ძე-19-ე საუკუნის განძავლობაში, ქართველები ამ საქმის ძნოლოდ მონაწილენი იყვნენ, მაგრამ არა მეტი.

საძუსულმანო საქართველოს საკითხმა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა მიიღო 1914 წლის ომის დასაწყისშივე და შემდეგ წლებში, მაგრამ მისი მსვლელობა და რევოლუციის გამხრწნელი გავლენა 1917 და შემდეგ წლებში ისეთი იყო, რომ 1918 წლის ბრესტ ლიტოვსკის ხელშეკრულების ცნობილი გადაწყვეტილების ძალით, თურქებს საშუალება მიეცათ, ერთა თვით - გამორკვევის იდეა ( მ.4 ) ბათუმ -ყარსის -არდაგანის სამ სანჯაყში **თავის სასარგებლოთ** გამოეყენებინათ.

კავკასიაში, როგორც ვნახეთ, ბრესტ- ლიტოვსკის ხელშეკრულებას შიშით აქციეს ზურგი. ძალიან მალე გარემოებით იძულებული შეიქმნენ, ჩაბლაუჭებოდნენ მათ, როგორც მხსნელ ბაწარს: ასე მოიქცა ამიერ კავკასია ტრაპიზონის კონფერენციაზედ, ხოლო საქართველო — ბათუმში — ისევ იმავე 1918 წელს.

ოსმალეთის დამარცხებით დიდ ომში, საქართველოს მთავრობამ შესძლო და მუსულმანურ საქართველოს პროვინციებში თავისი პოზიციები გაამაგრა. მაგრამ სხვა და სხვა რიგის პოლიტიკურ ინტრიგა ანუ მიმდინარეობათა და გავლენათა ბრძოლა იქ არ შეჩერებულა. მალე გამოირკვა, რომ კავკასიაში ბრესტ ლიტოვსკის ხელშეკრულებას უფრო მეტი სიცოცხლე ეწერა, ვიდრე ვერსალის და სხვა ზავებს. 1921 წლის საზღვრები გაყვანილი იყო „ბრესტული“ იდეათა მიხედვით, მართალია საგრძნობი შეკეთებით, იმ აზრით, რომ საქართველომ ბათუმი შეინარჩუნა, როგორ ა რატომ მოხდა ასე, ყველამ კარგად იცის (ბათუძის ძედგარი დაცვა უკანასკნელ წუთძე). საძაგიეოოთ, საკძაოთ გაძოოკვეული არ არის ყოფილი მთავრობის ძოლაააოაკეება ახგორასთან, საბჭოთა ჯარების თავდასხმის დროს საქართველოზედ. მნიშვნელოვანი მოწმობანი და ცხობანია მოთავსებული ამ საგნის შესახებ, სხვა და სხვა გაზეთებში აქ, პარიზში, მაგრამ აკლიათ დოკუმენტალური დამოწმებანი. ყმაწვილი კაცები სხვა და სხვა „დაჯგუფებაში“ დარიგებულნი, რომლებიც საქართველოს აღდგენას თამარის სამეფოს საზღვრებში ოცნებობენ და რომელთაც დრო და სახსარი აქვთ, რომ საქართველოს საზღვრების გამო „თათბირები“ მართონ „უფასო შესვლით“ ყველა მსურველთათვის, უკეთესად გაისარჯებოდნენ თუ საერთო ძალით და საერთო შრომით შეადგენდნენ და გამოსცემდნენ ნაშრომს, ვსთქვათ, თუნდა ასეთ თემაზედ: **„სამუსულმანო საქართველო 1914 წლის ომის და შემდეგ წლების ხანაში. პოლიტიკური, სამხედრო, სოციალური და დიპლომატიური მიმოხილვა“**. ასეთი ნაშრომი ფრიად შეუწყობდა მათ ხელს, გაერკვიათ ის საკითხი, თუ რა არის საჭირო საქართველოს ხელსაყრელი საზღვრები ჰქონდეს.

რამდენიმე სიტყვა კიდევ ყარსისა და არტაანის ოლქების სავაჭრო კავშირის შესახებ ბათუმთან, რაიცა „კავკაზის“ მიერ მოხსენებული იყო როგორც ერთი შესაძლებლობათაგანი, რომ თავისუფალ კავკასიასა და ოსმალთს შორის კეთილ მეზობლური განწყობილება დამყარდეს. ასეთმა აზრმა, რომელსაც აშკარა ჰიპოთეტური ხასიათი აქვს და „მომავლის მუსიკას“ ეკუთვნის, ერთნი მგონია უბრალოთ დააშინა, მეორენი აღაშფოთა.

თუ 1921 წელს გაყვანილ საქართველოს სამხრეთის საზღვარს დიდხანს უწერია ძალაში დარჩეს, რა უნდა ითქვას მაშინ იმის წინააღმდეგ, რომ საზღვარს იქით მყოფ მუსულმანურ საქართველოსა და ბათუმის შორის ასეთი სწორი კავშირი არსებობდეს? უფრო

ბუნებრივი იქნებოდა რომ ასეთი აზრის წინაალმდეგი თურქები იყვნენ, რადგან ამ შემთხვევაში, ოსმალეთის მუსულმანი ქართველები უფრო მეტ ქართულ გავლენის ქვეშ მოჰყვებოდნენ, ვიდრე უკულმა· კულტურულად ხომ ბათუმი მომავალშიაც უფრო ძლიერი იქნება ვიდრე ართვინი და არტანუჯი.

საკითხის არსებისათვის კი შეიძლება დაუმატოთ, რომ არსებობს სრულიად სწორი ცნობა, რომ ოსმალეთის მთავრობას განზრახვა აქვს, ყარსისა, არდაგანის და სხვათა გასავალ გზად შავს ზღვაზედ ლაზისტანის ხოფა გამოიყენოს.

ეოთმა არა მრავალთ'აგანმა ევროპიელმა, რომელმაც სამუსულმანო საქართველო და ლაზისტანი მოიხილა, „ქართველი ერის ისტორიის“ ინგლისელმა ავტორმა ვ. ე. დ. ალენმა, მოხსენებაში, რომელიც მან 1928წ. ლონდონის ერთ სამეცნიერო საზოგადოებას გაუკეთა, ფელდმარშალის ვიკონტ ალლენბის თავჯდომარეობით, თავის მოგზაურობის შესახებ, იმავე 1928 წელს, შემდეგი განაცხადა:

„ხოფა მეთევზეთა პატარა სოფელია, რომელსაც ღია ნავთსადგური აქვს, მაგრამ შესაძლებელია მისმა მნიშვნელობამ იმატოს. ახალმა საზღვარმა ჭოროხის ხეობა ბათუმის პორტს ჩამოსჭრა და ართვინს, არდაგანის და თვით ყარსის რაიონისთვის პორტს თურქები ხოფაში აშენებენო“. უკვე მაშინ იყო განზრახული, რომ ხოფა ბორჩხასთან (ჭოროხზე) კარგი საავტომობილო გზით გადაებათ. ეს საქმე, როგორც ეტყობა, შესრულებულია. ამავე დროს შეკეთებულია ძველი სამხედრო შოსე, რომელიც რუსეთის მთავრობის დროს ყარსსა და არდაგანს ჭოროხის ხეობასთან აკავშირებდა (ბათუმთანაც), ბორჩხაში, ჭოროხზედ, გადებულია ბოლო დროს ახალი ხიდი, ერთი მთავარი ნაშენობათაგანი უკანასკნელ წლებში, თურქი ინჟინრების მუყაითობით და გაყვანილია შოსსე, როგორც უკვე ითქვა, ხოფამდის, სადაც ხდება პორტის გასაუმჯობესებელი მუშაობა, ამ ცნობათა მიხედვით (ამოღებული მაქვს ათათურქის ერთ ახალ გერმანელ ბიოგრაფის წიგნიდან) ართვინ - ბათუმის სავაჭრო გზის საჭიროებას, როგორც ეტყობა, თურქები დიდათ არ გრძნობენ.

ზ. ავალიშვილი.

---

## ერთი „ალშფოთების“ შესახებ

ზოგიერთ ჩვენ განთქმულ პოლიტიკოსთა შორის დიდ „ალშფოთებას“ იწვევს ის გარემოება, რომ ვითომც ვილაცა ორიოდე (?) ქართველი ბათუმს ოსმალეთს უთმობს. ეს „ალშფოთება“ საკმაო შეიქმნა, რომ ისინი მოლალატედ იქმნან გამოცხადებული.

ასე ადვილად, ასე უსაფუძვლოთ ისვრიან ეს ადამიანები ამ სიტყვას, მათთვის, ცხადია, ჩვეულებრივს და აღებულს მენშევიკ- ბოლშევიკურ ლექსიკონიდან.

რა თქმა უნდა, გულში არც თითონ სჯერათ რასაც ამბობენ, მაგრამ დიდი კრება მაინც მოაწყეს და ხალხს „უფასო შესვლის“ ნებაც დართეს.

წინამდებარე წერილს ვწერ არა იმიტომ, რომ ეს ხალხი რამეში დავაჯერო, — თითონაც კარგად იციან, რომ ტყუილს ამბობენ, — შემდეგ, ასეთი უსაბუთო წერა და ლაპარაკი, არცა თუ თავის თავად არის ანგარიშ გასაწევი. ვწერ ამ წერილს მხოლოდ იმ პირთათვის, ვინც პოლიტიკის ასეთი ხერხებით შეცდომა

ში არიან შეყვანილი: ჭორით, ატეხილ ხმაურობით და „აღშფოთებით“

განა შესანიშნავი არ არის, რომ ბ. ბამატის წერილი დაიბეჭდა თიბათვეში და „აღშფოთდნენ“ კი ქრისტეშობისთვეში! მაგრამ ამავე დროს ცაგურიას წიგნაკმა, სადაც გალანძღულია ქაქუცა ჩოლოყაშვილი, მისი კუბო, იმავე ხალხის ჟურნალ გაზეთებში პროტესტი არ გამოიწვია, ხოლო „ბრძოლის ხმა“ იცავს კიდევაც მას!

რაშია საქმე ბატონო პოლიტიკოსებო!?

ბ. ბამატის წერილს ისეთი მნიშვნელობა მიაწერეს, თითქოს ის იყოს რაღაც განსაკუთრებული განცხადება და ისიც რაღაც კომიტეტის ან პარტიის სახელთ. ეს ასე არ არის. ჟურნალი „კავკაზი“ არის არა პარტიის ან კომიტეტის ორგანო, არამედ მხოლოდ დამოუკიდებელი ეროვნული აზროვნების გაზეთი. იქ შესაძლებელია გამოთქმულ იქნას აზრი, რომელიც კავკასიის ერთა დამოუკიდებლობის საკითხს ასე თუ ისე ეხება.

გარდა ამისა ბ. ბამატის წერილი არის არა ჩვეულებრივი მეთაური წერილი, არამედ საპასუხო წერილი იმ გულუბრიყვო მსჯელობაზე, რომელიც „ქართლოსში“ ბ. მარჯანიშვილმა დაბეჭდა, თითქოს „კავკაზი“ უთმობდეს ოსმალეთს ქართულ მიწა წყალს და განსაკუთრებით ბათუმს.

მაგრამ ასეთ საპასუხო წერილშიც ბ. ბამატი სწორედ ამის საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამს. ბ. ბამატი იცავს იმ აზრს რომ ბათუმი როგორც არა მარტო ქართული მიწა წყლის ქალაქი, არამედ მთელი კავკასიის ერთად ერთი ნავთსადგური, ყველასათვის ერთნაირად საჭირო და დამოუკიდებელ კავკასიისათვის ერთნაირად აუცილებელი და ჩამოუთლელი ადგილია.

რა არის აქ აღსაშფოთებელი!?

ბათუმის ოსმალეთზე გადაცემა ჩვენ შორის არავის სურს და არც ოსმალეთი მიიღებს მას ემიგრანტთა ხელიდან, თუნდა ეს ემიგრანტები ჩვენი გახთქმული „აღშფოთებული“ პოლიტიკოსებიც იყვხეხ.

თუ კი საქართველოა რუსეთიდან განთავისუფლება სურს, ძას აუცილებლად სჭირია თავის მეზობელ სახელმწიფოებთან მეგობრული ურთიერთობა დააყაროს. შეუძლებელია საქართველოს და კავკასიის რუსეთისაგან განთავისუფლება, თუ ამ მეზობელ სახელმწიფოებმა და განსაკუთრებით ოსმალეთმა ხელი არ შეუწყო და პირიქით წინააღმდეგი გახდა. უნდა ვიცოდეთ, რომ საქართველოს გულისთვის ოსმალეთს ომს არავინ გამოუცხადებს. ხოლო ოსმალეთმა რომ პირიქით შეუწყოს ხალი კავკასიის დამოუკიდებლობას, ფრიად გაგვიადვილებს საქმეს.

სწორედ ოსმალეთის ასეთ დახმარებას ეძებდა საქართველოს მთავრობა 1921 წელს, მაგრამ ამაში მან მეტად დააგვიანა.

ძველადაც ჩვენი მეფეები დახმარებას ხან ოსმალეთში, ხან სპარსეთში და ხან რუსეთში ეძებდნენ. მხოლოდ ამისთანა ბრძნული გზით შესძლო საქართველომ თავის გადარჩენა.

პატარა ქვეყნის ბედი ასეთია. დიდ ქვეყნებისთვინაც შეუძლებელია რომ ყველა თავის მეზობლებთან ომი და მტრობა ჰქონდეთ.

მაშასადამე თუ ჩვენთვის საჭიროა ოსმალეთის კეთილი განწყობილება და არა მტრობა, შეუძლებელია ჩვენი რეალური პოლიტიკისათვის ისეთი საკითხი დავაყენოთ, რომელიც ოსმალეთის მიერ ხელშეკრულების ძალით წაღებულ ქართულ ოლქებს ეხება. ძნელი წარმოსადგენია, რომ ოსმალეთმა ჩვენი ასეთი „მოთხოვნილება“ მიიღოს და საქართველოს და სომხეთს ართვინი, არტაანი, ოლთისი და ყარსი დაუბრუნოს და რუსეთის წინააღმდეგაც დაგვეხმაროს. თუ კი ჩვენ ასე დავაყენეთ საკითხი, მაშინ ოსმალეთი ამჯობინებს, რომ კავკასიაში ისევ რუსეთი დარჩეს, რომელიც მას ამ ადგილების გამო დავას არ უცხადებს და ამნაირად ორივემ იბატონონ კავკასიის მიწა წყალზედ.

უფლება გვაქვს ვკითხოთ ჩვენ „აღშფოთებულ“ მოწინააღმდეგეებს: რატომ ხდება, რომ როცა დღეს ქართულ მიწებს არავინ არავის აძლევს და არცა არავინ არის რომ ჩვენგან მიიღოს, ასე არიან აღშფოთებულნი და არაფერი სთქვეს მაშინ, როცა ჩვენი მმართველები ამ მიწებს მართლა აქეთ იქით არიგებდნენ.

წაიკითხონ მათ —„ იზ ისტორიი გრუზინო - არმიანსკიხ ოტნოშენიი“— დოკუმენტები, საქართველოს მთავრობის მიერ 1919 წ. დაბეჭდილი. იქ ამოიკითხავენ, რომ რევოლუციის წინ და შემდეგაც ჩვენი მმართველები დაპირებული იყვნენ, რომ სომხებისთვის ლორი, ბორჩალო და ახალქალაქი გადაეცათ. სწორედ ამ დაპირებას ემყარებოდა სომხეთი, როცა მან 1918წ. საქართველოს ომი გამოუცხადა. ომის შემდეგ თითქმის მთელი ბორჩალო და ლორეს ნაწილი სადაოთ დაიდო.

1919 წელს ჩვენ დავიბრუნეთ ეგრედ წოდებული „ტერიტორია იუგო ზაპადა კავკაზა“ მის მიერ ჩვენგან წართმეული ახალციხე და ახალქალაქი და ძალით ავიღეთ არტაანის ოლქი მერდენკამდის, სადაც დაიღვარა ქართველების სისხლი. მაგრამ იმავე წელს არტაანის ოლქი სომხებს გადავეცით.

რევოლუციისთანავე, 1918 წელს, ზაქათალა აზერბეიჯანს დაუთმეთ, იმავე დროს, ფოილოს რკინის გზის ხიდი მტკვარზედ, რომელზედაც გადიოდა საქართველო - აზერბეიჯანის საზღვარი მთლად გადავეცით იმავე აზერბეიჯანს, ასე რომ მათი ყარაული ჩვენს ტერიტორიაზე იდგა. ასეთი მდგომარეობა სამხედრო თვალსაზრისით ფრიად სახიფათოა.

1920 წელს ბოლშევიკებთან ომის დაწყებისთანავე, მე მოვახერხე და მათ ყარაულს მტკვრის იქით დავაწევინეთ (აზერბეიჯანის სამხედრო ატაშეს დახმარებით); მხოლოდ ამ ის წყალობით მოვახერხეთ მთელი ხიდის დანაღმვა; როცა მათი ჯარი ხიდს მოადგა, ხიდი მტკვარში ჩავაგდეთ. ამით შეეკრა მტერს ყველაზედ მოხერხბული გზა ტფილისისკენ შეტევისათვის.

1921 წელს ხიდი მთლიანად ჩვენ ხელში არ იყო და ეს იყო მიზეზი რომ მხოლოდ ხიდის ჩვენი ნაპირის აფეთქება მოხერხდა; ბოლშევიკებმა ხიდი იმავე დღეს შეაკეთეს, რამაც გაუადვილა ბოლშევიკს ტფილისზე შემოტევა. 1921 წელს მთავრობამ ართვინი გადასცა ოსმალეთს, რომლის ჯარი შემოვიდა ბათუმს ხულოს და ახალციხეში. რას ნიშნავს ეს თუ არა ქართვლი მიწა -წყლის გადაცემას ოსმალეთზედ?

როგორ შეეძლო ოსმალეთის წარმომადგენელს კიაზიმ- ბეის ბათუმის ოსმალეთის ტერიტორიად გამოცხადება იმ დროს როცა საქართველოს მთავრობა ჯერ კიდევ ბათუმში იყო, თუ მას ამ დროს ბათუმში ჯარიც არა ჰყავდა შეყვანილი?

მადლობა ღმერთს, რომ საქმე სხვანაირად დატრიალდა . შემოვიყვანე ბათუმში გენერ. ართმელაძეს დივიზია და დავაჭერინე ბათუმის ფორტები: კახაბერი, ანარია და სხვები; ბარცხანას, სადაც მოთავსებული იყო ოსმალეთის ჯარი, ზარბაზნები დაუმიზნეთ. ბრძოლის შემდეგ ბათუმი საქართველოს ფარგლებში დარჩა. სად იყვნენ ჩვენი პოლიტიკოსები და რატომ არ „აღშფოთდნენ“ მაშინ?

შფოთავენ მხოლოდ ეხლა და ჟურნალ „კავკასიის“ ქართველ თანამშრომლებს მოსკოვურის წესით „მოლალატის“ სახელს ესვრიან.

**გ. კვინიტაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვინ დასთმო საქართველოს მიწა - წყალი

ლაპარაკით, წერით და ბოლო დროს მიტინგების გამართვის საშვალებითაც, მენშევიკები დიდ აგიტაციას ეწევიან ქართულ ემიგრაციაში, თითქოს ბ. ბ. ლენ. კვინიტაძე, პროფ. ზურაბ ავალიშვილი, გრ. დიასამიძე, ვლ. ახმეტელი; შ. ამირეჯიბი და ყველა ისინი, ვისაც ჟერნალ „კავკაზ“ — „კავკასია“სთან და სხვა მის გამოცემებთან რაიმე იდეურ -პოლიტიკური კავშირი აქვთ, საქართველოს ტერიტორიის ნაწილებს ოსმალეთს „უთმობენ“.

მერე რომელი ნაწილების „დათმობაზედ“ არის ლაპარაკი ამ უპატიოსნო და ყალბ ქადაგებაში?

ეს ნაწილები, თურმე, არტაანი, შავშეთი, არტანუჯი, ართვინი და ბორჩხა ყოფილან.

მაშასადამე გამოდის, რომ ეს პირნი უთმობენ ოსმალეთს იმ ნაწილებს, რომლებიც მენშევიკების ანტიეროვნული პოლიტიკს წყალობით, ოსმალეთმა უკვე 1921 წელს წაიღო და ოსმალეთიც ისეთი ბავშვია, რომ არამც თუ ღებულობს ამ „დათმობას“, არამედ, როგორც ზოგიერთ მთლად უვიც ქართველსა ჰგონია, ამ „დათმობისათვის“ ფულსაც კი „აძლევს“ ამ პირებს.

კერძოდ, სწორედ, ამის გამო იყო გამართული დიდის წინასწარი პროვოკაციით შემზადებული და დიდის განგაშით ჩატარებული, 4 დეკემბრის სამარცხვინო მენშევიკური მიტინგი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს არა მარტო იმ „ნაციონალისტებმა“, რომლებიც დიდი ხანია ჟორდანიას ფრონტში იმყოფებიან და ზნითა და ჩვეულებით სავსებით გამენშევიკდნენ არამედ ისინიც ვინც აქამდის ვითომდა „პრინციპიალურ“ ოპოზიციაში უდგნენ მას. მაგრამ გუშინ ჟორდანიასაგან გამოქცეული ხალხი, რომ დღეს ისევ ჟორდანიას დაუბრუნდეს, გასაკვირველი არაფერია. უპატრონო ნოზაძეებს და მანწკავებს ისევ თავისი ძველი მეხრე მოუვლის.

მაგრამ რაკი სიტყვა ამ ტერიტორიების „დათმობას“ ეხება, ან, როგორც სხვები სწერენ ამ ტერიტორიებზედ ხელის აღებას, ური გო არ იქნება ითქვას თუ ვინ იყო, მართლა, ის ხალხი, რომელმაც ეს ტერიტორიები ოსმალეთს „დაუთმო“ და შუა ომში მათზედ „ხელი აიღო“?

1921 წლის ომის დროს, ჟორდანიას მთავრობას დიდი მოლაპარაკება ჰქონდა გამართული ოსმალეთთან, რათა ეს უკანასკნელი საქართველოს ბოლშევიკების წინააღმდეგ დახმარებოდა.

თუ ეს კომბინაცია განხორციელდებოდა ჟორდანიას მთავრობა თანახმა იყო არტაანის და ართვინის ოლქები ოსმალეთისათვის გადა ეცა. ასეთი შეთანხმების განსახორციელებლად მუშაობდნენ: საქართველოს ელჩი ანგორაში ბ. ს. მდივანი და ოსმალეთის წარმომადგენელი ტფილისში— კაზიმბეი. ამ გეზით შეთანხმებამ რომ ზოგიერთ მიზანს, მართლა, მიახწია, ეს შემდეგი ამბებიდანაცა სჩანს.

მე ვიყავი ამ დროს არტაანის ოლქის უფროსი, როცა ტფილისიდგან დაშიფრული დეპეშა მომივიდა: — საქართველო - ოსმალეთის მთავრობათა შეთანხმების შედეგად გევალებათ თქვენ, ოცდაოთხი საათის განმავლობაში, მოხსნათ სანაპირო ჯარების ყველა პუნქტი, ოსმალეთის საზღვარზედ, მოახდინოთ ჯარისა და ადმინისტრაციის ევაკუაცია და ახალქალაქის გზით ახალციხეში მიხვიდეთ. ოლქი უნდა ჩააბაროთ ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენელს. თქვენ დარჩებით ახალციხეში, იქ არსებულ თავდაცვის კომიტეტში სამუშაოთ.

მიაქციეთ ყურადღება რომ დეპეშა იყო ტფილისიდგან, ჯერ კიდევ იმ დროს, როცა

ქართული ჯარი კიდევ იბრძოდა ფრონტზედ.

დამარცხებულმა და საქართველოს ეროვნული ქონებით დატვირთულმა ჟორდანიას მთავრობამ მეორე ბრძანება უკვე რიონის სადგურიდან გამომიგზავნა. ნ. რამიშვილი ტელეგრაფით იტყობინებოდა: - დღეს თუ ხვალ ოსმალეთის ჯარები დაიჭერენ ახალქალაქ - ახალციხის მაზრებს და ყოველივე მათ ჩააბარეთო.

ამავე ბრძანების მიხედვით მე და ი. ქარცივაძე ახალციხეში უნდა დავრჩენილიყავით, როგორც საქართველოს წარმომადგენლები.

შეუდექით სამზადისს, დავიქირავეთ ბინა და ზედ ქართული დროშა აღვმართეთ. ასეთი თავდარიგი ზედმეტი აღმოჩნდა. ოსმალეთს ბოლშევიკებმა დაასწრეს და მაზრა მათ ჩაიბარეს.

ასეთია ისტორია. ქართული ტერიტორიის ნაწილებზედ „ხელი აიღო“ და ისინი ოსმალეთს „დაუთმო“, ჯერ კიდევ ჟორდანიას მთავრობამ.

ამ რიგად, ბრესტ - ლიტოვსკის ზავს, რომელიც ბათუმ - არტაან - ყარსის ოლქებს ოსმალეთს აძლევდა, საქართველოს მთავრობის ეს „დათმობის“ შეთანხმებაც ზედ დაემატა.

ოსმალეთმა ეს შეთანხმება გაინაღდა და დიღურის თემი, ახალციხის მაზრაში, არტაანი, შავშეთი, არტანუჯი, ართვინი და ბორჩხა მარადიდის თემები წაიღო. ეს მოხდა 1921წ-ს. ეს ტერიტორია ჩვიდმეტი წელიწადია რაც ოსმალეთის ხელშია.

როგორ მოხდა რომ ღენ. გ. კვინიტაძე პროფესორი ზ. ავალიშვილი, გრ. დიასამიძე, ვლ. ახმეტელი, შ. ამირეჯიბი და სხვანი ამ ტერიტორიაზედ „ხელს იღებენ“ — ეს მხოლოდ მენშევიკურ პოლიტიკის პატიოსან მეთაურებს უნდა ეკითხოს. ეს უნდა ეკითხოს იმ და მნაშავეებს, რომელთაც სურთ თავისი დანაშაული ამ საქმეში უდანაშაულო ხალხს გადა აბრალონ.

ნათქვამია: შეიძლება, რომ კაცი ერთხელ მოატყუო. შეიძლება რომ ერთი მრავალჯერ მოატყუო, მაგრამ, ყველა რომ ყოველთვის მოატყუო — შეუძლებელიაო!

**იოსებ გვარამაძე**

---

## სუვერენობა და სახელმწიფოებრივი პოლიტიკა

ყველა ერის უდაო და აუცილებელი მიზანია მისი თავისუფლება - სუვერენობა. მხოლოდ საკითხია რის შედეგად ხდება რეალურად შესაძლებელი, რომ მან იქონიოს პრაქტიკული სახელმწიფოებრივი პოლიტიკა.

დღეს ალბათ ვერ ნახავთ ისეთ მიუდგომელსა და საქმეში ჩახედულ კეცს, რომ ჩვენი ერის სუვერენობის კანონიერებას და სიმართლეს არ აღიარებდეს. მართლაც, რომ მოვიგონოთ ბევრი პატარა და დამოუკიდებელი სახელმწიფო, მათი წარსული თუ ეროვნული პოტენციალი, მაშინვე დავინახავთ ჩვენი ქვეყნის საამისო უფლებას და ბრძოლის აზრს. ტერიტორიალურად ბევრია მასზედ უმცროსი და ზოგჯერ რიცხვობრივადაც. რაც დრო მიდის, იმდენად მეტად ირკვევა ჩვენი ერის წვლილი საერთაშორისო განათლებაში. შორეულ წარსულის მქონეს ჰქონია დიადი ეპოპეიაც და ჰყოლია დიდი პირნი. იმ დროს როცა ბევრი ერი ტყეში ბინადრობდა, ჩვენი ერი უკვე კულტურულ ცხოვრებას ეწეოდა. ქრისტიანულ ცივილიზაციისათვის მისი სამსახური ხომ ლეგენდარულია. წამებული წმიდა შუშანიკი თვით ქრისტეს

ნებისყოფას მოგვაგონებს და წმიდა ნინო კი ქრისტეს მშობლისას. მაგრამ ბევრს ვერა ნახავთ ერს, ხშირად უფრო მოზრდილს, რომელიც მოქცეულიყოს მისებრ მეტოქე მესაზღვრეებში და აგრე რაინდულად, ურყევლად გადაეტანოს ისტორიის ორომ ტრიალი. ეპოქების დასაწყისიდგან და დღემდის, მას ჰყოლია დიმიტრი თავდადებული, დავით და კონსტანტინე, თუ ცხრა ძმა ხერხეულიძენი. არას ვიტყვით მირიან, დავით აღმაშენებულ, თამარ მეფის თუ ვახტანგ მეექვსისა და ირაკლი მეორის პიროვნებაზედ. კულტურულად და ფიზიკურად მომარჯვებულს ჩვენ ერს, დღის წესრიგში ამჟამად სუვერენობის საკითხი უდგას. ეს არის სახვალიო და გარდაუვალი აუცილებლობა, როგორც საბოლოოდ ყველა ერების თავისუფლება. ამ ისტორიულ დინამიზმს ინერციულად თვით პროგრესი და კაცობრიობის სვლა ემსახურება.

მაგრამ გეოპოლიტიკურად ურთულეს მდგომარეობაში მოქცეულ საქართველოს, მოსამზღვრეთა საერთო დონის საგრძნობი განსხვავებით და ცივილიზაციის სხვა და სხვა ბაზით, მეტად დიპლომატიური და მოქნილი საქციელი ესაჭიროება. დღის წესრიგში დასმული ჩვენი ერის სუვერენობის საკითხი მეტად ნათელია და შესაძლებელია განირჩეოდეს ზოგი ჩვენი მეზობელთა მდგომარეობისაგან. საქართველო ისტორიული და ჯერ კიდევ გუშინდელი სამეფო — ჩვენი დიდი უპირატესობაა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დრო მაინც ყველა ჩვენ კავკასიელ ერთა სასარგებლოდ მიმდინარეობს და მისმა მაქსიმალურად გამოყენებამ, ყველას თავისუფლება - სუვერენობა უნდა დაგვიმკვიდროს.

სწორედ ასეთი ისტორიული უპირატესობა გვავალებს, რომ ჩვენმა ერმა ისტორიულად მოწოდებული კავკასიური პოლიტიკა ახორციელოს, რის მისახწევად წინ მავალ ერს ევალება გარდამავალ მოვლენების დიდი გაგება ჰქონდეს. ამის კარგად შესაგნებად მაგალითი თვით ქართულ ემიგრაციაშიც მოგვეპოვება. ეს მაგალითია ჩვენი მთავრობა (ყოფილი), რომელიც აგრე დაჩემებით განაგრძობს — სარგებლობს დამოუკიდებელ საქართველოს სახელმწიფოებრივობის წარმომადგენლობით. მას ჰქონდა საამისო უპირატესობანი და ამ უპირატესობათა გამო დონეს შესაფერი მოვალეობა, რომ საერთო კავკასიური პასუხისმგებლობაც ეკისრნა. მაგრამ ეს ხელმძღვანელობა თავიდანვე შეჩერდა იმ პოლიტიკაზე, რომელიც დაკავშირებულია პოლონურ ინტერესებზე. მართალია, ის თითქოს სუნთქავს გარანტია - იმედის და მოლოდინის ატმოსფეროში, მაგრამ ასეთი პოლიტიკა განთავისუფლების საკითხის აკტუალობას ფეხ და ფეხ ვერ მისდევს. ქართველი ერი კი ბრძოლაშია და მას დიქტატურა — უცხო ქვეყანა მუსრავს. ყოფილი მთავრობის პოლიტიკის ხაზით ამრიგად, ქართული საკითხი სამემრისოდ არის გადადებული, და ისიც იმ დროს, როცა ქართველი ერი მაინც იბრძვის ჩვენი ქვეყნის ინტერესები მოითხოვენ სხვა გზას, რომელიც იქნება მიმართული მთელის და რეალური შესაძლებლობით რუსეთის წინააღმდეგ, რადგან, საქართველო უნდა აღსდგეს ყოველის ღონისძიებით. იყო დრო, როდესაც საქართველოს მეფის გავლენა ვრცელდებოდა ტრაპეზუნიდან კასპიის ზღვამდე, კავკასიონიდგან — სპარსეთამდის. მეტიც, იყო ხანა, როცა შ. დადიანის რომანტიული თქმით, („უბედური რუსი") ბიზანტია ეცემა და საქართველომ უნდა დაიკავოს მისი ადგილიო. მაგრამ დრონი მეფობენ და არა მეფენი. ყველა ერისათვის ბუნებრივია, რომ თუ კი ეს ოპორტუნულია და თუ ის მომწიფებულია ფსიქოლოგიურ - კულტურულად მოწოდებულ ადგილებში, თავის სრულქმნილების აღდგენას ეცადოს. სუვერენული ერის ისტორიული მოწოდება და მისი სახემწიფოებრივი პოლიტიკის შინაარსიც ეს არის. მაგრამ

განსხვავება ამასა და იმპერიალიზმს შორის მეინც დიდია. აქვე ირკვევა, რომ ჯერ უნდა როგორმე ეს სუვერენობა გქონდეს და მხოლოდ შემდეგ შეიძლება გამოჩნდეს სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შესაძლებლობა. სწორედ ამ მოსაზრება - მოტივმა გამოიწვია რომ ქართველი ერის გონება და გული — ილია, რამდენადაც ის რეალურად საქართველოს აზრი და პასუხისმგებელი პოლიტიკური მოღვაწე იყო, დინჯად მოექცა ზოგიერთ პოლიტიკურ ფრაზეოლოგების სიტყვათა ოამაშს. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ ვინ შესძლებდა მასზე უკეთ ამის გამოთქმას? მაგრამ საკმაო იყო დიდი ილიას სადმე ყოფნა, რომ ხელი აგელოთ ამ ფრაზეოლოგიაზედ და გაჰყოლოდით მას, რადგან გარდა ეროვნული საქმისა სხვა არაფერი გაკეთდებოდა.

ამრიგად, მანვე გვასწავლა დროსი და გარემოების შეფასება ამა თუ იმ საგნისადმი. ეს არა ნიშნავს, რომ სხვა საკითხს არ უნდა ვსწავლობდეთ , ვსწერდეთ თუ ვზრუნავდეთ, რადგან ყველასა და ყველაფერს თავისი ადგილ დანიშნულება აქვს. ამნაირადვე **დროსა** და ახლო მომავალ პოლიტიკურ შესაძლებლობათა პროგნოზით იყო გამოწვეული უდიდეს ქართველ არჩ. ჯორჯაძის პარტიის მიერ მომდევნო ხანაში საქართველოს ავტონომიისათვის გაწეული ღვაწლი. მაგრამ ვინ არ გაინიცდიდა არჩ. ჯორჯაძის მისწრაფებას, გრძნობა- შეგნებასა და მრწამს, თუ რას ძიობდა ან რა ჰქონდა მას მიზანში ამოღებული?. განა ყველასათვის ცხადი არ იყო, რომ ის ძიობდა ერის სუვერენობა - დამოუკიდებლობას? ამ ორი დიდი ქართველის მაგალითი ცხად ჰყოფს იმასაც, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, როცა იცით თუ ვინაა აქა თუ იქ, ამა თუ იმ საქმეში ერის ინტერესთა გამომხატველი. მოგეხსენებათ, რომ არჩ. ჯორჯაძისათვის და მისი პარტიისათვის ავტონომიის საკითხის გამო, ქართულ საზოგადოებრივობაში, გარდა სწორედ მენშევიზმისა, არავის ქვა არ უსვრია და პირიქით, სხვისგან ნასროლი ქვისთვის თავი შეუშვერია თუ ის დაუმახინჯებია. მხოლოდ ისინი მას ამახინჯებდენ არა ეროვნული მოსაზრებით, არამედ მარქსისტულად. არჩ. ჯორჯაძის პარტიამვე წამოაყენა ფედერალიზმის გონივრული სჯა ბაასი, მენშევიზმის ანტიეროვნულობასა და კოსმოპოლიტიზმის პრინციპის წინააღმდეგ. სწორედ ამით, იმ დროს ეს შეხედულება თავი სუფალ ერთა თავისუფალ კავშირს უდრიდა.

საზოგადოთ, ყველა ეს მაგალითი იმას გვასწავლის თუ რაოდენ რთულია ქართველი ერის გამანთავისუფლებელ ბრძოლის ეტაპები და გზები. ამჟამად კი საქართველო გადავიდა ახალ და სხვარიგ აკტუალურ სტადიაში.მაგრამ ის ყოველთვის ვითარდება, გამომდინარე მის მისწრაფებათაგან და შეგუებული ირგვლივ არესთან. ამ მხრივ, წარსულისამებრ წამებული საქართველო იმყოფება რუსეთ - ოსმალეთ - სპარსეთს გარდა, თვით კავკასიელ ერთა კომპლექსში. ამდენი ხნის ისტორიული ბრძოლებისა და დაკვირვების შემდეგ უდავოა, რომ საჭიროა ჯერ თვით ვვარგისიანობდეთ გვქონდეს იმედი და თუ გნებავთ საკუთარი ეროვნული მისტიკა, რომ ჩვენი ნიშანი მიზანში კარგად ამოვიღოთ. იგივე უნდა გახდეს თავისუფლების მიღწევის შემდეგაც ეროვნული წარმატების წყაროდ. ურომლისოდ არც ერთი დიდი წარსულის ერი საგრძნობლად არ გამართულა წელში. მაგრამ ამ ყველაზედ მიუცილებელ მისტიკის რეალობა რესიპროკულად მოქცეულია თვით კავკასიელ ერებში. მხოლოდ მათ ძლიერ შეთანხმებაზედ არის დამოკიდებული საერთო ბედის გადაწყვეტა - დაცვა, არსებულ მომენტში. ვინც გამონახავს საამისოდ უკეთეს გზას, რაც შეიძლება ყველა იქ შემავალ წევრთა მ›საღებად, ნაკლების ნაკლით, ის იქნება და ის გახდება მხსნელ მოვლენათა ხელმძღვანელად. ის მიგვიყვანს ერის თავისუფლებასუვერენობამდის. ყველა ასეთ წამოწყებას ხე

ლი უნდა შეეწყოს და ყველა მის პროცესში გაიბრძმიდოს.

დაბოლოს გვინდა აღვნიშნოთ, რომ არც ერთი დამორჩილებული ერი სუვერენობას არ მოელის ფილოსოფიურად, არამედ რეალურად და შემდეგ ცხადია, მას ექნება თავისი სახელმწიფოებრივი მისწრაფებანი. ბალკანეთის ქვეყნების ესოდენი დაუცხრომლობა ამნაირ მისწრაფებათა მიზეზით აიხსნება. მაგრამ რომელი მათგანია იტყოდეს, რომ ან დღეს და სრულად ან არაფერი არასდროსო! ასეთი რამის თქმა პასუხისმგებელ და ეროვნულად მოწოდებულ მოღვაწეს არ შეუძლია და მისი ენა ამას ვერც იტყვის. აქ სხვა ანდაზაა საჭირო. აქ უნდა ითქვას: ხერხი სჯობია ლონესა თუ კაცი მოიგონებსა! ამნაირი საკითხები არც, სავახშო საგანია და მხოლოდ შესაძლებლობა და ძალთა განწყობილების დარგს ეკუთვნიან. საქაროველოს პყრობს ბოროტი რუსეთი და ეროვნულ საშიშროებაში მყოფი, იგი ყოველის ღონისძიებით სცდილობს განთავისუფლდეს მისგან, გახდეს დამოუკიდებელი. ჩვენთვის დიდი მაგალითია უკრაინელთა პირობები, რომელნიც ჩვენებრ იბრძვიან თავისუფლებისათვის რუსეთის წინააღმდეგ. მაგრამ თავისი სრულქმნილობის მისაღწევად მათ სხვა საკითხებიცა აქვთ. რამდენიმე მილიონი უკრაინელი პოლონეთის საზღვრებში სცხოვრობს. მაგრამ უკრაინელები პოლონეთს დღეს არ გაურბიან. არსებობს პოლონელ ჩეხო - სლოვაკთა ამნაირივე მოვლენა. ეტნოგრაფიული მოტივი ამოძრავებს უნგრეთს და სხვათ. ჩვენი დიდი ილია ამბობდა „ქვათა ღაღადში“: თუ კი რომელიმე კუთხე ეტნოგრაფიული პრეტენზიების საფუძველს იძლევა, მის გადასაჭრელად მარტო სურვილი ან თუნდაც საბუთიანობაც არა კმარა. საჭიროა შესაძლებლობა უფლებიანობის ქონებაცაო.

მაშასადამე, სანამ ეს უფლბეიანობა საყოველთაოდ სავალდებულო გახდება ან სათანადო შესაძლებლობებს მოიპოებთ, უპირველესად საჭიროა ერის გადარჩენა და მისი სუვერენობა.

ჩვენის სახელით ბევრი ხელშეკრულებანი შეუქმნიათ და თუ რომელ მათგანს დაარღვევს ან აღადგენს თავისუფალი საქართველო, ეს მომავლის საკითხია.

ყველა პატრიოტს და ეროვნულ მოღვაწეს კი სწადია დიადი სამშობლო, სრულქმნილი საქართველო.

**სევერიანე ურუშაძე.**

## მენშევიკური მიტინგი

### „თათბირი“

ცაგურიას წიგნაკის და „ბრძოლის ხმის“ მაბეზღარა, პროვოკაციული და ცილის მწამებელი წერილების შემდეგ, ჟურნალ „კავკაზის“ კონფედერატიული დაჯგუფების და განსაკუთრებით მის ქართველ თანამშრომლების წინააღმდეგ, ჯერი მიტინგზედაც უნდა მიმდგარიყო და ეს მიტინგიც მოხდა.

4 დეკემბერს, „მუზე სოსიალ“ის დარბაზში, პროფესორმა ბ. ექვთიმე თაყაიშვილმა წაიკითხა ისტორიული შინაარსის მოხსენება „სამუსულმანო საქართველოს“ სათაურით. როგორ მოხდა, რომ ოსტატმა ხალხმა, მეცნიერი პირის კონფერანსი ხელზედ დაიხვია და იგი „პოგრომულ“ მიტინგად აქცია, ამაზედ დღეს, ალბად, თვით პატივცემული ბ. ექვთიმეცა ნანობს. მაგრამ ფაქტი მაინც ის არის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ამ მოხსენებაზედ ტეროორისტულ აძოძახილებს დიდი ადგილი აქოხდათ დათძობილი და იყვხეხ ჰირეები, როძლებიც ვიღაცების „ძოსაობას“ და „გაცაძტვეოეებას“ ძოითხოვდხენ.

ჩვენ იმთავითვე ვიცოდით, რომ „თათბირი“ ასე უნდა გათავებულიყო. ორი თვის სამზადისი, რომელიც ამ „თათბირს“ წინ უსწრებდა, „პარტიებში“ და „ჯგუფებში“, წინასწარი კამათი და გამოტანილი რეზოლუციები, რომლითაც ამ „პარტიების“ და „ჯგუფების“ წარმომადგენელნი ამ თათბირზედ მობრძანდნენ, დასასრულ, მოსაწვევ ბარათებზედ („უწყება“) აღნიშნული ანონსი, რომ „მსჯელობაში მონაწილეობას მიიღებენ ქართულ დაჯგუფებათა წარმომადგენელნი“ო, არავითარ ეჭვს არ სტოვებდა, რომ ამ „თათბირზე“ ხალხი გამოცხადდა არა იმდენად ბ. ექ. თაყაიშვილის მოხსენების მოსასმენად, რამდენად ამ „რეზოლუციების“ გამოსაფენად.

ოდესმე ქართული ემიგრაციის ისტორიის მკვლევარი მიუდგომლად აღნიშნავს, რომ ეს იყო კრება ყველაზედ უფრო ურიგო და უზნეოც, რომელსაც ოდესმე ქართულ ემიგრაციაში ადგილი ჰქონია. მიუდგომელი მეთვალყურე იმასაც აღნიშნავს, რომ მთავარი „თუ ლუხჩები“, რომლებსაც ჟორდანიას ამ წისქვილზედ წყალი მიჰქონდათ, გზა აბნეული ქართველი ნაციონალისტები იყვნენ.

მაგრამ ასეთი შორი ლოდინი საჭირო არ არის და ამ კრებას, რომელსაც, დიდი განგაშისა და დიდი მზადების შემდეგ, მხოლოდ ასიოდე კაცი დაესწრო, ემიგრაციის დანარჩენმა ნაწილმა და რა თქმა უნდა უმრავლესმა თავისი მსჯავრი ეხლავე დასდო. ეს მოიქმედა მან არა იმიტომ, რომ ემიგრაციის უმრავლესობა ჟურნალ „კავკაზის“ მიმართულებას ეხლავე ყველაფერში ხელ- აღებით ეთანხმება, არამედ უბრალო ქართული რიგიანობის მიხედვით. მან „პოგრომულ“ მიტინგზე წასვლა არ ისურვა.

## ვინ არ დაესწრო „თათბირს“?

„თათბირის“ თაოსნებს განზრახვა ჰქონდათ რომ „თათბირს“ საერთო ქართული ემიგრაციის ხასიათი ჰქონოდა. დიდი მნიშვნელობა ექნებოდა იმ გარემოებას, თუ კი ქართული კოლონიის თავმჯდომარე საფრანგეთში, ექ. ვახტანგ ღამბაშიძე ამ „თათბირის“ თავმჯდომარე ქნებოდა. მაგრამ როდესაც „თათბირის“ თაოსნებმა მიმართეს ბ. ვ. ღამბაშიძეს, რომ მობრძანებულიყო კრებაზედ და „თათბირისათვის“ ეთავმჯდომარნა, ამბობენ, რომ ბ. ვ. ღანბაშიძემ ასეთ ანონიმურ „თათბირის“ თავმჯდომარეობაზედ უარი განაცხადა და არც კრებას დასწრებია. კრებას არ დაესწრენ არც კოლონიის ყოფილი თავმჯდომარენი ბ. ბ. გ. ჟურული და დ.სხირტლაძე. „თათბირს“ არ დასწრებიან კოლონიის პატივცემული წევრნი და ქართული საზოგადოებრივობის წარმომადგენელნი: ბ. ბ. ნიკოლოზ ჯაყელი, ანდრია დეკანოზიშვილი და მრავალი სხვა. „თათბირს“ არ დაესწრენ პოლიტიკური მოღვაწენი: ბ. ბ. სპირიდონ კედია, რევაზ გაბაშვილი, იოსებ გობეჩია, დავით ვაჩნაძე, შალვა მაღლაკელიძე და მრავალი სხვანი. „თათბირს არ დაესწრო არც ერთი ავტორიტეტიანი ქართველი სამხედრო პირი.

„თათბირის“ ინიციატორთა მიერ ყოველი ღონე იყო მიღებული, რომ კრებას აუცილებლად დასწრებოდნენ გაზეთ „მომავალი“ს რედაქტორი ბ. ა. მანველიშვილი და გაზეთი „მუზარადის“ რედაქტორი ბ. ი. ინასარი — როგორც სამცხე - საათაბაგოს მკვიდრნი და წარმომადგენელნი. მაგრამ კრებას არც ეს პირნი დასწრებიან. კრებას არ დასწერბიან შეფიცულნი და მრავალი პატრიოტი, რომლებსაც საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლა გაუწევია. ცალკე აღსანიშნავია, რომ კრებას არ დაესწრო ბ. ე. გეგეჭკორი. არ დაესწრო კრებას, მაგრამ სულ სხვა მოსაზრებით, ბ. ა. ჩხენკელიც. ჩვენ დანამდვილებით ვიცით

რომ იმ „რეზოლუციებით“, რომელიც ამ კრებაზედ იქნეობდა ძიღებული, ბ. ა. ჩხეიკელი სადღაც აპირებს გაძგზავრებას. მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ მას იქ არ აპატიჟებიან.

თავისთავად ცხადია, რომ ამნაირად მოწყობილ თუ „ჩაწყობილ“ კრებას ვერ დაესწრებოდნენ ბ. ბ. გენ. კვინიტაძე, ზ. ავალიშვილი და შ. ამირეჯიბი. კრებაზედ გამოცხადდა რამდენიმე ჩვენი თანამგრძნობი, რამდენიმე „თეთრი გიორგელი“ და რამდენიმე ნეიტრალი პირი, პროტესტის განსაცხადებლად. ამათ შორის იმყოფებოდნენ ბ. ბ. გიორგი კერესელიძე და ექიმი გ. ჭაჭიაშვილი.

### ვინ დაესწრო კრებას?

პროფ. ბ. ექვ. თაყაიშვილის შინაარსიანი და საყურადღებო მოხსენება სამცხე - საათაბაგოს წარსულზედ და მის მნიშვნელობაზედ საქართველოს ისტორიაში, ერთ საათს გაგრძელდა. პროფესორი ადგა და ესტადრიდან ჩამოსვლას აპირებდა. ამ დროს იწყება „ქართულ დაჯგუფებათა“ ორატორების ასვლა ესტრადაზედ, მათი ლაპარაკი მომხსენებელთან, რათა ის ესტრადაზედ დარჩენილიყო და კრებას ეხელმძღვანელა. იწყება ორატორთა სიტყვები.

პირველი ლაპარაკობს ბ. ივ. ზურაბიშვილი. მაგრამ ლაპარაკობს არა როგორც „დაჯგუფების“ წარმომადგენელი, არამად როგორც „სენატორი“. ეტყობა ასე სჯობიან. მასა სცვლის ბ. კალე ქავთარაძე, არა როგორც მენშევიკი, რაიცა ის მუდამ იყო, არამედ როგორც „ჟურნალისტი“ რომლადაც ის არასოდეს არ ყოფილა. შემდეგ მოდიან „დამფუძნებული კრების წევრები“ ბ. ბ. გიორგი გვაზავა (ამ მოხუცებულობაში!) და ალ. ასათიანი. შემდეგ მოდის გაზეთ „ქართლოსის“ რედაქტორი და არა „მონარქისტ -ფაშისტი“ ბ. ვ. ნოზაძე. მას მოსდევს „საქართველოს ყოფილი იუსტიციის მინისტრი“ ბ. მ. არსენიძე. და აქ ხდება პროველი ინციდენტი. ბ. აოსენიძის გამოსვლამდის ყველაზედ უდიერი სიტყვები ბ. ივ. ხუოაიოვილმა (ფროხტის კაცი!) და „ბოლიაოქისტ- ფაშისშმა“ (ჟორდანიას კალთა ბი!) ბ. ვ. ხოზაძემ წარმოსთქვეს. მაგრამ არსეხიძეძ აძათაც გადააჭარბა. აღელვებული და ბეგუხებული ბ. ექვ. თაყაიშვილი თვითონ ილეას სიტყვას და სხვათა შორის ამბობს:— ჯვარზედ რომ მაცვათ, მაინც ვერ მათქმევინებთ, რომ ზურაბ ავალიშვილი, გრიგოლ დიასამიძე, შ. ამირეჯიბი და სხ-ნი პატრიოტები არ არიან! აღელვებული მოხუცი ამ პირთა სა შობლოს წინაშე დამსახურებაზე ლაპარაკობს. მას კრებიდგან ტაშს უკრავენ. მაგრამ ტაშის მკვრელნი ცოტანი არიან. ბევრნი არიან ისინი,რომლებიც ყვირიან და პროფესორის გაჩუმებას ყვირილით სცდილობენ. ბ. ექვთიმე მაინც ახერხებს და სიტყვას ბ. გ. კერესელიძეს აძლევს. ბ. კერესელიძე ტრიბუნაზედ ადის, მაგრამ კრება გაშმაგებული ჰყვირის და ორატორს სიტყვის თქმას უშლის. ამავე დროს „ფრონტის“ ორატორებიც აწვებიან და ტრიბუნას ის. მანწკავა იჭერს. ბ. გ. კერესელიძე ტრიბუნას სტოვებს, სამაგიეროდ ბ. ის. მანწკავა საჯაროდ იხდის ბოდიშს, რომ ართხელ „კავკაზში“ ისიც სწერდა. მის ადგილს იჭერს ბ. ილ. ნუცუბიძე. დაგეშილი ორატორების სია გათავდა. კრება ითხოვს „რეზოლუციის“ გამოტანას, მაგრამ ბ. ექვ. თაყაიშვილი ამის წინააღმდეგა და დიდ ყვირილსა და ხმაურობაში კიდევ ახერხებს, რომ სიტყვა ბ. გ. ჭაჭიაშვილს მისცეს. ყვრილი და ხმაურობა გრძელდება. ორატორს ლაპარაკს უშლიან, მაგრამ ბ. ჭაჭიაშვილმა მაინც შესძლო ტრიბუნაზედ ათი წუთით დარჩენა. კრება ხელახლად „რეზოლუციას“ ითხოვს.

### კრების დაშლა

მაგრამ ბ. ექვთიმე თაყაიშვილი ესტრადიდგან ჩამოდის და კრებას სტოვებს. მას მისდე

ვს ბ. სამსონ ფირცხალავაც. მიდიან სხვებიც.

ასეთის წვითა და დაგვით გამართული „თა თბირი“ სახტად რჩება. ძალლი პატრონს ველა რა სცნობს. ბ. თაყაიშვილის მიერ კრების დატოვების ამბავმა საშინელი, გამანადგურებელი შთაბეჭდილება დასტოვა. თითქოს კრებას რაზოლუციის გამოტანა არა სურს. მაგრამ მა რიფათი ხალხი დაფაცურდა. ბ. გ. ურატაძე მენშევიკური პრესის შნო და ლაზათი, „გამოსავალს“ პოულობს და წინადადებას იძლევა „რეზოლუციაში“ ნათქვამი იყოს მხოლოდ ის რომ „საქართველოს მიწა - წყლის გაცემა არ შეიძლება“,

მიუხედავად ამისა, „რეზოლუციის“ მიღება კრებამ „მუზე სოსიალის“ დარბაზში ვერ შესძლო და ხალხი დაიშალა.

### „რეზოლუცია“ კაფეში

კრება გაგრძელდა ერთ მეზობელ კაფეში, მაგრამ უჯაროთ და მხოლოდ „ქართულ დაჯგუფებათა“ ლიდერების დასწრებით. ამ კრებიდგან „საქართველოს ყოფილი იუსტიციის მინისტრი“ ბ. არსენიძე ორჯერ გაიქცა, ძაგრამ „ყოფილი მინისტრი“ ორჯერვე დააბრუნეს. ბ. არსენიძე მომხრე იყო ისეთი რეზოლუციის სადაც ნათქვამი იქნებოდა, რომ „ქართველი დემოკრატიული ემიგრაცია“ წინააღმდეგია არა მარტო ოსმალეთის „კონტრ-რაზვედკასთან“ კავშირის(?!) არამედ საზოგადოთ ყველა „კონტრაზვედკასთან“ და განსაკუთრებით იმასთან, რომელთანაც მენშევიკებს კავშირი აქვთო. ეს საკითხი რთულია და „ფრონტის“ ხალხი ამაზედ ვერ დაეთანხმებოდა. რაღაცა რეზოლუცია მაინც მიღებულ იქმნა. დასასრულ პატარა ინციდენტი მოხდა აგრეთვე იმის გამო თუ ვის უნდა გადაეხადა კონსომაციის ფასი. აღმოჩნდა ისეთი „დამოუკიდებელი“ ხალხი, რომელიც თანახმა არ იყო, რომ ეს ფული „ფრონტის“ წარმომადგენელს გადაეხადა.

***

---

## წერილი რედაქციის მიმართ

დიდათ პატივცემულო

ბატონო რედაქტორო!

როგორც თქვენ იცით, „დამოუკიდებელ საქართველოს“ მივმართე თხოვნით, დაებეჭდა თავის უახლოეს ნომერში უფროს მხედრების დადგენილება ბ. ცაგურიას წიგნაკის შესახებ.

წერილი გადავეცი ბატონ აკაკი ჩხენკელს, რომელმაც მითხრა რომ ამ წერილის დაბეჭდვას მხარს დაუჭერდა.

გამოვიდა „დამოუკიდებელ საქართველოს“ ნომერი, მაგრამ ჩვენი, უფროს მხედართა დადგენილება არ არის მოთავსებული.

გთხოვთ მოათავსოთ ეს წერილი, რათა ალინიშნოს, რომ „დამოუკიდებელ საქართველოს“ რედაქციამ არ დაბეჭდა ჩემი წერილი ბ. ცაგურიას შესახებ.

მიიღეთ ჩემი სალამი და პატივისცემა

**ლენ გ. კვინიტაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზაირა

**2 მოქმედებიანი ხევსურული დრამა 4 სურათით**

**მომქმედნი პირნი**

**ლართუ** —ახალგაზრდა ხევსური სანდომიანი
**ზაირა** — ხევსურის ასული
**თურქია** — ახალგაზრდა უსანდომო ხევსური
**შადური** — მამა ზაირასი, მოხუცი
**ხევის თავი** — მოხუცი ხევსური
**მგელა და მარტია** — მოხუცი ხევსურები
**პატარა შადური** — ყრმა 12 წლისა
**მეჩანგურე** — მოხუცი ხევსური
**პირველი და მეორე მეცხვარე** — ახალგაზრდა ხევსურები
**სამი ხევსურის ასული**
**ყმაწვილი ქალ - ვაჟნი**

—O—

**მოქმედება I, სურათი I.**

ვიდრე ფარდა აიხდებოდეს, ფარდის წინ ზის ბერი მეჩანგურე, ბავშვებით გარს შემოხვული და ჩონგურს უკრავს,

**1-ლი ბავშვი** — ძიავ, რამე ზღაპარი გვიამბე!
**2-რე, 3-მე ბავშვები** — გვიამბე ძიავ, გვიამბე!
**მეჩანგურე** — რახან ეგრე ძალიან გინდათ, იყვეს ნება თქვენი!
მიგდეთ მე ყური, ამბავს გიამბობთ, ამბავსა მძიმეს და სატირელსა!
ერთ სოფელს, შიგნით ხევსურეთისა, ვაჟაი სცხოვრობდა, ქალა უყვარდა, მათ სიყვარულით ხალხი სტკბებოდა და მტრისა გული შურით კვდებოდა. მოგითხრობთ ამბავს სევდით სავსესა, ადათ სიმართლის გამარჯვებასა.

ამ ლექსის დაწყებიდანვე ფარდა ნელა იხდება.

(სცენა წარმოადგენს უდაბურ ტყეს, მთა გორიანი ფონით. წინ პატარა მინდორია. მინდვრის მარჯვენა კედაროზედ ქვა გდია. ზეიდან გზა ჩამოდის. ქვაზე ლართუ ზის და სალამურს უკრავს)

**ლართუ** — ოხ, დედილო, საფლავიდან, რომ ამოიხედო, შენი ლართუ შეგეცოდების. გულ ჩათუთქული ზაირას ყურებით ბოლმა დარდისგან ვაჟა ვილევი. ოჰ ზაირავ, შენ შემოგევლოს ლართუს თავი. ზაირას დანახვაზე ვაჟაი ვიკოდები! დასწყევლოს ღმერთმა! რა ყოფილა სიყვარული! ვაჟაის დიაცათ გაგხდის, მიწასთან გაგასწორებს, არარად გაქცევს... როგორც მზე ყინულს გულს ისე დაგილბობს! ( პაუზა.) მე მგონია ზაირასაც უყვარვარ. ხევის წმინდანებო, ლაშარის ჯვარო, გევედრებით შემიბრალოთ. გული დაკოდილი და გაისრული გამიმთელოთ, თორემ, ღმერთმანი, არ ვიცი, რას ჩავიდენ. თავს მოვიკლავ ან ვინმე შემომაკვდება. მიხსენით წმინდანებო ამ უბედურებიდან და ფიცს გაძლევთ, ერთ ყოჩს შემოგწირავთ!
ჩანგურს იღებს, ჩამოჰკრავს და დამღერის. ჩამომავალ გზიდან ზაირა გამოჩნდება.

**ზაირა** — ჰაუ, ლართუ!

**ლართუ** — (ჩანგურს მიაგდებს და წამოვარდება). ზაირავ, აქეთ! რაის ამოდი, რაი დაჰკარგე?

**ზაირა** — (სიცილით) ცხორს გამოვყე.. ცხორი მგლებმა შემიჭამეს. ეხლა მარტოლა დავრჩი, რალა მეშველების?! (იცინის)

**ლართუ** — ჩემო ზაირავ, ლართუი გენაცვაცვალოს! რაის მაწამებ, რაითა მტანჯავ,

ჩემს სიყვარულს მაგრე რად იგდებ?

**ზაირა** — ლართუს ხუმრობა დაუწყია! ლართუ ზაირას დასცინის... კარგი არ არის, ზაირა შეწუხდების!

**ლართუ** — ღმერთმან დამწყევლოს ზაირავ, თუ მართალს არ ვამბობდე. ნუ თუ შენი დაცინვა შეიძლება, ჩემო სანატრო?!

(ლართუ წაეტანება ზაირას დასაჭერად)

**ზაირა** — ლართუ! (უნდა გაექცეს და ქვაზე შეხტება, ფახი აუცდება, ლართუ ხელსა ხვევს და ჰკოცნის)

**ლართუ**—შენ შემოგევლოს ჩემი თავი, ჩემო ზაირავ! ლართუს სიცოცხლე უზაიროთ დაუბნელდების...

**ზაირა** — შენი სიტყვები ლართუვ, მალამოდ მომევლინების...

**ლართუ** — ალბათ ჩემი თხოვნა ლაშარმა შეიწყალა და იმის სიძლიერემ აქეთ წამოგიყვანა, ჩემო ნორჩო?!

**ზაირა** — გული მეუბნებოდა აქეთ უნდა მენახნე.

**ლართუ** — მაშ არ შემცდარვარ, შენც გიყვარვარ, ჩემო ლამაზო?

**ზაირა** — (მორცხვენით, თავჩაღუნული) სიცოცხლეს მირჩევნიხარ.

**ლართუ** — ზაირავ უშენოთ ჩემი სიცოცხლე სიმარტოვე და ობოლი იყო.

**ზაირა** — უშენოთ კი წუხილი, შავი დარდები და საშინელი, უცხო მოლოდინი!

**ლართუ** — მთელ ახალგაზრდა ქალებში მარტო შენ აგარჩიე, ყველაზე ლამაზი და ყველაზე კარგი შენა ხარ!

**ზაირა** — ქალები ყველა ხუმრობით დამცინიან, როცა გაიგეს, რომ მეც მიყვარხარ.

**ლართუ** — ალბათ ვაჟები რომ გაიგებენ შურით და ბოღმით შემომნატრებენ..

**ზაირა** — ბედნიერი ვარ!

**ლართუ** — ეს ყველა კარგი , ჩემო ნუგეშო, მაგრამ მამაშენი შადური მე არ მინდომებს. მე ღარიბი ვარ და ურვადს ვერ მივცემ.

**ზაირა** — ურვადს თვალიც დაუდგეს, ჩემო ლართუ. მე მამაჩემს უყვარვარ და მგონია, არც მე მითხრას უარი და არც შენ მოგთხოვოს ურვადი.

**ლართუ** — მეც ეგრე მჯერა მამა შადური. პატიოსანია, საწყალ მამაჩემის მეგობარი და მგონია არ გამიმეტოს. თუ გამიმეტა, ჩემო ზაირავ, გაგიტაცებ და რას იტყვი?

**ზაირა** — გამიტაცე, თუნდა ქვეყნის კიდემდეს, ჩემო ძვირფასო!

**ლართუ** — ნუთუ ხევის წმინდანებმა ესე დამაჯილდოვეს? გმადლობ მამა ზეციერო, პატივს მეც დაგდებ...

**ზაირა** — იყუჩე ლართუ, ვილაცა მოდის! (ხელიდან გაუსხლტება და გვერდზე დგება)

**ლართუ** — რა დროს მოსვლა არს, ოჰ დასწყევლა ღმერთმან მაგათი თავი! ამ ბედნიერ წუთს ჩემს ცხოვრებაში მოუთმენლად ველოდი, ახლა კი ესე მალე მაწყვეტინებენ.

**ზაირა** — ჩემო ლართუ, მე და შენს შორის დაწინდვა მოხდა. ღმერთი ვერ გაგვყრის, ხალხი რას გვიზავს? ამ ბედნიერ წუთს კიდევ განვიცდით.

**ლართუ** — ღმერთმა გვისმინოს!

(ზემოდან ჩამოდის თურქია და ამათ რომ დაინახავს სახეზე გაბრაზება დაეტყობა, გატრიალება უნდა მაგრამ ისევ მობრუნდება)

**თურქია** — ლართუ, ხევსურს არ შეშვენის ქალაი ტყისაკენ გაიტყუილოს და ეშმაკსავით აცდენდეს! ეგ ხომ დიაცობა და ქურდობა არის?!

**ლართუ** — თურქიავ,გზათ მიხვალ გაიარებდე, შენისთანა ხევსურს არც მინდა ველაპარაკო. შენ ხევსურისა რა გცხია, ბარში გარყვნილს და ცბიერსა..

**თურქია** — მაგ წუნკლიანი ენისთვის სიცოცხლით გამისწორდები.

**ლართუ** — ჩემსა გაკინწვლას ვაჟაუ სიკვდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლით თუ ელირსები· ვფიცავ ჯვარსა და ლაშარსა დიაცათ არ გაგიხდები.

(ორივე ხმლებს იღებენ და დაიწყებენ ფარიკაობას. ზაირა თავშალს იხსნის და მხოლოდ მაშინ ჩაუდგება შუაში მოჩხუბრებს, როცა ლართუ თურქიას დასჭრის. მოჩხუბრები გაშველდებიან.)

**თურქია** — სისხლი სისხლს ითხოვს, კიდევ შევხვდებით!

**ლართუ** — თამარის მზეს ვფიცავ, არ გაგექცევი! შენთან შეხვედრაზედ მუდამ მზად ვიქნები.

(რურქია გადის. ზაირა მივარდება ლართუს და შიშით სავსე ხმით შესტირებს).

**ზაირა** — ჩემო ლართუ, მე გული მიღონდების თურქიასი მეშინიან, სისხლს აიღებს და ჩვენ უმანკო სიყვარულს ნაადრევად მოსპობს.

**ლართუ** — დამშვიდდი, ჩემო ნუგეშო, რაიმ შეგაშინა? თურქიასთანა ვაჟაი მეცა ვარ! თურქიას მეც არ დაუვარდები ფრანგულა ხმალში!

**ზაირა** — მჯერა ლართუვ, მაგრამ ბრძოლავის დარჩება წინდაწინ არ ითქმის. ხმალში რომ დაგჩაგროს მე ვისთვის მტოვებ?! მე უშენოთ სიცოცხლე დამიბნელდება..·

**ლართუ** — ლართუ გენაცვალოს! შენი სიცოცხლის დაბნელებამდე სჯობს სიცოცხლე მე დამიბნელდეს! იყუჩე ქალაუ! მწუხარეს რომ გიყურებ ასე მგონია აი ის ქედი გულზე მაწევს მეთქი. ერთი გაიღიმე გენაცვალოს ლართუ. ჩვენი სიყვარული დაგავიწყდა ჩამო ყველავ? იმაზე მელაპარაკე.

**ზაირა** — წმინდაო დედავ, მიხსენ ბოროტებისაგან. ჩემ ლართუს ნურას დაუშავებ, გადამირჩინე.

**ლართუ** — აი რას გეტყვი: ყურ კარგათ მიგდე. მე ამ სალამოს შუა კაცს გამოუგზავნი მამაშენს. შენ მინამ მამაშენს მოამზადებდე.

**ზაირა** — სოფელს ხმა დადის ვითომ თურქიას ჩემი თხოვნა უნდოდეს. ცოტა დაჩქარდი, საქმე არ ჩაგვეშალოს, თურქიამ არ დაგვასწროს და მამამ თანხმობა არ გამოუცხადოს. ხომ იცი, ადათია, უარს ველარ ეტყვის, თავს ვერ შეირცხვენს·

**ლართუ** — რას ამბობ ქალო, დედა ბუდიან გადავწვამ და გავაოსრებ თუთქიას ოჯახს და ჩემს ზაირას არავის დავანებებ!

**ზაირა** — ეგრედ რომ მოხდეს მე თამს მოვიკლავ.

**ლართუ** — აბა ვიჩქაროთ

( ორთავე გავლენ სწრაფი ნაბიჯით )

**სურათი მე-2- რე.**

(სურათი წარმოადგენს შადურის სახლს. ეზოში გამართულია სახლის წინ ქორწილი ხალხი მარჯვნით და მარცხნით ზის. ზოგი სდგას მარჯვნით, ნეფე - პატარძალის მარცხნით, უფროსი ხევსურებით. მეჩონგურე უკრავს და დამღერის.)

**შადურ** — ბარაქალა შვილო შენს სიმღერასა, მართლა ვაჟაი ჰყოფილხარ!

**მეჩონგურე** — ეს რა არის ბიძა შადურო, მე დავლურიც მეხერხბის.

**შადურ** — მაშ ეგეც გვაჩვენე შვილო და მაშინ ვიტყვი რომ დედის ძუძუ ტყუილად არ არ გიწოვია.

(ბიჭები და ქალები წამოიწყებენ სიმღერას)

აი და, მშვენიერო ზაირა,
თქვენ დაუკართ ფანდური და დაირა,
მოდი, მოდი, მეთამაშე ზაირა,
გამაცოცხლე, მეთამაშე ჰაირათ,
გულის ვარდო, ნორჩო ქალო, ზაირა!

**შადურ** — ბარაქალა, კარგია!

**მარტია** — ჰაი, ჰაი, რომ კარგია!
ქისტები ჩვენ რაის გვაჯობებენ!

**მგელა** — შადურო, ბევრი მდიდარი ჯეელი

შენ ქალაის შენატროდა.
შენ ყველას ზურგი უქციე, მზის უნახავ-
მაც თვალი არავის აჩვენა. რაით მოხიბ-
ლა ლართუმ? მდიდარი არარის, ურვადს
ვერ მოგცემდა!

**მარტია** — მგელაუ, რაის აყრანტალებ მაგ
ენას! ეგეთ უწესო სიტყვას რად ამბობ!
ლართუ ვაჟაა და ურვადიც ეპატიების.

**შადურ** — ჰაი, ჰაი რომ ჩემი მარტია სწორ
ამბობ! აბა ყურ მიგდე: თურქიამ კაცი
მამიგზავნა ას სულ ცხორს და თორმეტ
ძროხას მოგცემ, ზაირა მომათხოვეო.
მაგრამ ზაირა არ დამითანხმდა. ზაირა
ამბობს, ლართუ ღარიბია, მაგრამ ჩემი
ბედიაო. მეც ზაირას მეტი რა მაბადია
რომ არ გაუგონო, ქალაი ჭლექს არ ჩავა-
გდო.

**მარტია** — მერე და შადურ, თურქია სასიძოთ
არ ვარგა, თურქია ხევსურ ალარ არის,
გაიპილწა, სულ ბარში გდია! ამბობენ...

**მგელა** — მაშ თუ ეგრეა ზაირა სწორ ყოფილა.

**მარტია** — ჰაი, ჰაი რომ სწორ არის. შენ ლა-
ყე თავმა ეხლა გაიგო?

**მგელა** — ჩემ ლაყე თავს რას ჩააცივდი, თუ
ვაჟაი ხარ, დამისხი და შენც დალიე!

**მარტია** — სიტყვასაც გეტყვი, დავლევ კიდე-
ცა. დაიცათ ხალხნო, ლართუ დავლოც-
ოთ.
ლაშარის ჯვარი წაგიძღვეთ,
დასთესეთ ბედნიერება
ცხორი, ბალღები ამრავლეთ,
ხევსურთ მიეცი შვენება,
ორმოცი ბალღი იყოლეთ
ათასობითა ცხორია,
ხევსურნი ცოტანი დავრჩით
იმრავლოს შენი გორია!

**მგელა** — ჰაი დედასა, ძალიან სიტყვა კი გი-
თხრათ! ჰაი, ჰაი, რომ იმრავლოს თქვენ
გორმა! მეც ვიტყვი რამეს.

**მარტია** — დაჯექ, კაცაუ, სისულელე არა წა-
მოგცდეს!

**მგელა** — რას ჩამაცივდი მგელასა, სიტყვა მი-
ნდა ვთქვა.
თამარის დროშა გწყალობდეთ,
მტერი გეჟლიტოთ ბლომათა,
მათი ცხორი და ძროხები
შეგრჩეთ პატივით დოლათათ.
ოჯახსა ააშენებდეთ
ხალხი გემრავლოთ დიდათა,
პაპა შადურის კვალზედა
იარეთ მედიდურათა!

**მარტია** — არ ვიცოდი თუ ეგეთ ჭკვიანურ
რამეს იტყოდი
(მგელა მედიდურათ მარტიას გადახედავს
და დაჯდება)

**1-ლი ქალი** — ქალებო, გაიხედეთ თურქია
მოდის!

**მე-2-რე ქალი** — რას ამბობ ქალო, თურქია
ნაწუნია, აქ როგორ მოვა.

**მე-3-მე ქალი** — ფით, მაგის ნამუსსა, აქ რა
უნდა ნაწუნსა?! ზაირა არ მოსტაცოს
ლართუს, მაგისმა მზემ!

**1-ლი კაცი** — ქალაუ, რას მაცდურობ ლართუ
ვაჟა არს!
(თურქია შემოდის, დამცინავი სახე აქვს.
ლართუ ჯამზე სასმელს ასხავს და გაუწო-
დევს)

**ლართუ** — თურქიავ შენ ჩემი მოსისხლე ხარ
მაგრამ სტუმარი ღმერთისა არის. აიღე
დაილოცე და დალიე„

**თურქია** — შენი ღვინოის ხარბი არა ვარ.
რად უნდა დავლიო?! არც შენი სტუმა-
რი ვარ. გზად გავიარე და მოსისხლე
რომ ვარ არ დამვიწყია.
(მიუბრუნდება შადურს და დასცინებს.
ლართუ იქვე მიეყუდება კედელს)
სახლი აგიშენებია, შადურავ, მდიდარი
სიძე ჩაიგდე, სოფელს პირველი კაცი
გახდი.

**შადურ** — თურქიავ, სიმდიდრეს რა ჭკუაი
აქვს, საქონლით შენც მდიდარი ხარ, მა-
გრამ მაგ გოგრა თავში ფუტუროის მე-

ტი არაფერი გიყრია. მამა შენივით ბოროტების და სისხლის მეტი არა გიყვარს რა!

**თურქია** — (გაბრაზებით ხელს ხანჯალზე გაისვამს) ბებერო მგელო, ენას ამოგაცლი, სიტყვას ყელში ჩაგიხჩობ! (ამოიძრობს ხანჯალს. ლართუ წინ გადმოხტება და ისიც ამოიძრობს ხანჯალს. ხევსურები არ უშვებენ და აშველებენ)

**მარტია** — თურქიას, ქორწილი არის, ადათს ნუ ადღვევ.

**ლართუ** — დღეიდან, ვაჟავ, ჩვენში შეხვედრა საშინელი და სახიფათოა. ჩვენ ორს არ ძალგვიძს მიწა ვამძიმოთ, ერთმა მეორეს უნდა გზა მისცეს! გზის დათმობას სიკვდილით თუ გავათავებთ.

**თურქია** — ქალაის ქურდო მაგასაც ვნახავთ ადგილს ვინ დასთმობს!

(თურქია გაჰყავთ, ხალხი წყნარდება.)

**1-ლი ქალი** — ზაირავ, რაიზე დარდობ, გულს რა გიწუხებს. ლართუ თურქიაზე მამაცი და ვაჟა არის!

**მე-2-რე ქალი** — თურქია ბარს გასულია.

**მე-3-მე ქალი** — თურქია ბარის ქურდია, ლართუ კი მთის კაცია, თურქია ვერას დააკლებს!

**ზაირა** — სწორედ ეგ მაშინებს ქალაუ. თურქია ვაჟკაც არ არის. ქურდულათ მიეპარების, სისხლს დიაცურათ აიღებს, ვაჟს მოჰკლავს და გაიპარების.

**ლართუ** — რა ყველას ცხვირები ჩამოგიშვიათ. ერთმა უგვაროთ ამდენი ხალხი რად დაგაღონათ. ვითამაშოთ, ვიმხიარულოთ! დღეს ქორწილი გვაქ, რაც გლახა მოხდა ის დავივიწყოთ!

**შადურ** — მკლავი ვის ერჩის, ფარიკაობას ვინ გვაჩვენებს?

(ორი ბიჭი გადმოხტება და ფარიკაობენ.)

**მარტია** — აი ბარაქალა, ხევსურები ხართ. ტყუილად ძუძუ არ შეგრგებიათ.

(ახალგაზდები სიმღერას წამოიწყებენ)

(დასასრული შემდეგ ნომერში)

**ზურაბ ციციშვილი**

---

## კარგი ქართული წიგნი.

უკანასკნელ დროს, მენშევიკურ „პუბლიცისტების“ მიერ მწერლობაში მიღებულმა ლანძღვა - თრევის კილომ (სხვა ლიტერატურა კი ქართულ ემიგრაციას, სამწუხაროდ არა აქვს!) სრულიად დაგვავიწყა, რომ, ხამუშ - ხა მუშ, თითო - ოროლა კარგი ქართული წიგნი ქართულ ემიგრაციაშიც გამოდის. ქ-ნ თამარ პაპავას წიგნი „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“, გამ. დავ. ხელაძისა, პარიზი 1937წელი, კარგზედაც მეტია. კარგზედ მეტია თავის შინაარსით და კარგზედ მეტია თავის გარეგნობით.

საქართველოს წარსული, მრავალ ეპოხებათ დაყოფილი, რომელთაგან ყოველი თვითეული საკუთარ დამთავრებულ კვინკლოსს წარმოადგენს, როგორც ყოველი ერის ისტორიას ეს სჩვევია, სხვადასხვანაირად იზიდავდა ქართველ ისტორიკოსთა და მკვლევართა ყურადღებას. დღევანდელი ქართული ისტორიოგრაფიის კვლევა ძიების მთავარი საგანი ძველ საუკუნეთა ისტორიის შესწავლა და დადგენაა და ჩვენი შესანიშნავი ისტორიკოსის ივ. ჯავახიშვილის და მისი სკოლის მთავარი ყურადღება აქეთ არის მიქცეული. ამას მეისტორიეთა დიდი შრომა და ღვაწლი სჭირდება.

მაგრამ არსებობს გუშინდელი დღის ისტორია,ისტორია ჯერ კიდევ კუბოში მდებარე, დაუმარხავი და ქვა დაუდებელი — თუ გნე-

ბავთ დაუტირებელიც. ასეთი უახლოესი ისტორიის მამამთავარი ჩვენში, პლატონ იოსელიანის შემდეგ, (იხ. მისი „ცხოვრება მეფის გიორგი მეცამეტისა)— ზურაბ ავალიშვილია. მისი წიგნი „ საქართველოს რუსეთთან შეერთება“, ამ ოცდა თხუთმეტი წლის წინად გამოსული, ქართულ განათლებულ წრეებისთვის დიდი მოვლენა იყო. ამან ჩაუყარა საძირკველი ამ „გუშინდელი ისტორიის“ კვლევა ძიებას. იმავე დროს გამოვიდა ხელთუფლიშვილის წიგნი იმავე საგანზედ და რამდენიმე წლს შემდეგ ივანე ჯავახიშვილის საქართველოს პოლიტიკური და სოციალური მოძრაობის ისტორიის ნარკვევი მეცხრამეტე საუკუნეში. ასეთი დარგის შრომები, იმ ხანად, ალ. ფრონელის (ალ. ყიფშიძის) ორი ჩინებული თხზულებით დამთავრდა: „მთიულეთი 1804 წელს“ და „კახეთის აჯანყება 1811 - 1812 წლებში“. მოსახსენებელია აგრეთვე ალ. ხახანაშვილის წიგნი: „იმერეთის მეფე სოლომონ მეორე“. გუშინდელი დღის ისტორიაზედ , შედარებით უფრო უახლოესი დროისა, ბევრი იწერება ჩვენს დროში საქართველოშიაც. მათი გაგრძელება და დამატებაა ქ-ნ თამარ პაპავას წიგნიც. მაგრამ ჩვენმა მწერალმა ქალმა თავის ნაშრომს სპეციალური სახე მისცა. იგი მიეძღვნება ქართველ ქალებს ჩვენს ახლო წარსულში. ამ მხრით, თავისი წინაპარი ქ-ნ თამარ პაპავას წიგნსაცა ჰყავს. ეს არის მღვ. მ. ჯანაშვილის წიგნი აგრეთვე ქართველ ისტორიულ ქალებზედ დაწერილი. მაგრამ მათ შორის ერთი განსხვავება არსებობს. იმ დროს როცა მღვ. მ. ჯანაშვილი უკვე კანონიზაცია ქმნილ ქართველ ისტორიულ ქალებზედ სწერდა. ჩვენს მწერალ ქალს საჩინოზედ გამოჰყავს ბევრი ისეთი ქართველი ქალის ფიგურა, რომელიც მკითხველისათვის ისტორიული და კანონიზაცია ქმნილი პირველად დღესა ხდება.

ქ-ნ თამარ პაპავას ყველა ქალი მეთვრამეტე საუკუნის დასასრულის და მეცხრამეტე საუკუნს პირველი ნახევრის ქართველი ქალბატონა. მეფეთა ასულები, მთავართა, ბატონიშვილთა და თავადთა ცოლები. ისინი წარმოადგენენ ქართველთა სათნოებას, განათლებას, გაზრდილობას. რადგანაც მათი როლი საზოგადოებაში, სახელმწიფოში, ერში წინასწარ გადაკვეთილი იყო ეპოქის ჩვეულებით, ხშირად აკვნეულადაც, მათი აღზრდა შესაფერისი იყო. სამღთო წერილში, თუ საერო მწერლობაში ერთნაირად გაწვრთნილებისათვის, ამ ქალებისათვის პოეზიაც შორი არ იყო.მათ იცოდნენ მოკითხვის, დარბაზობის, მეჯლისობის, პურობის რთული წესები. ყოველივე ეს სწორი და განუყრელი მეცნიერება იყო, იმ დროის მაღალი წრის ქალისათვის.

მათი ასეთი რთული ცოდნის ნიმუშს მკითხველი ქ-ნ თამარ პაპავას წგნში შეხვდება. ქართველ დინასტთა სიმრავლის და მათი ხშირი წაკიდების ეპოქაში, ასეთ ქალთა თითო ქორწინება თითო ხელშეკრულებას უდრიდა, „მზითვის წიგნი“ „ფიცის წიგნიც“ იყო. მამის სახლიდგან გათხოვილს და მეორე კუთხის მფლობელის ახალ სახლში მისულ ასეთ ახალგაზდა ქალს სიყვარულისა, შვენიერებისა და პირადი სათნოების გარდა, თან ზავი და მშვიდობაც მიჰქონდა. განათლება, აღზრდილობა, ზნეობა, იდეები საერთონი ხდებოდნენ. ესენი იყვნენ, რომ დაყოფილ ტომების ერთმთლიან ქართულ კულტურულ წრეს ჰქმნიდნენ.

ზოგმა მათგანმა სამხედრო საქმეც იცოდა. ასეთები იყვნენ მეფე ირაკლის ასული თეკლა, მეფე გიორგი მეცამეტეს პირველი მეუღლე, ქიზიყის მოურავის, ზაქარია ანდრონიკაშვილის ასული ქეთევან და სხვანი. ერთი ასეთი მეომარი ქართველი ქალბატონის ისტორია ჩვენს ავტორსაც მოჰყავს. ეს არის სარდალ ქაიხოსრო წერეთლის მეუღლის, აბაშიძის ასულის ეკატერინეს მიერ „მოდი ნახეს“ ციხის გამაგრების ამბავი, რუსთა პირის პირ. ამბავი მართლა გულის აღმძვრელია, მაგრამ არა ისე დრამატიული, როგორც ეს შეიძლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოვიდგინოთ! რაკი დრო ისეთი იყო, რომ რუსი სჯობნიდა ომში ქართველ ბატონებს, რალა თქმა უნდა, რომ ქართველი ქალბატონი რუსებზედ ველარ გაიმარჯვებდა.

ჰეინე ოხუნჯობდა გერმანელებზედ, რომ გერმანელი მამაკაცები ნაპოლეონმა მოხიბლა გერმანელი ქალები - ფრანგის ტამბურ მაჟორმაო. იმერეთის ბედი მაშინ „მოდი ნახეში" არ გადამწყდარა. იყო რალაცა რუსის ტამბურ მაჟორის მსგავსი საქართველოშიაც, რომელიც „ხიბლავდა" ქართველ მამაკაცებსაც და ქართველ დედაკაცებსაც. მით მაინც, ჩვენი ავტორის მიერ მოცემული სარდლის მეუღლის სურათი საუცხოვოა.

ქ-ნ თამარ პაპავას საუკეთესო ნარკვევი „სამეგრელოს დედოფალი ნინო" არის. ის იყო საქართველოს მეფის გიორგი მეცამეტის ასული და მამასავით ჭკვიანი. მაგრამ მამა - ასულის პოლიტიკურ კარიერაში განსხვავება დიდი იყო. გიორგი ორმოცდაათი წელიწადი მემკვიდრე იყო და მხოლოდ ორი წელიწადი — მეფე. ის, რომ ადრე გამეფებულიყო შესაძლებელია, სამეფოს ბედი სხვანაირად მოწყობილიყო. მისი ასულის ნინოს ბედი სხვანაირი იყო. ის იყო არა მარტო დედოფალი არამედ სამეგრელოს მთავრის გრიგოლის სიკვდილის შემდეგ, ქვეყნის მმართველიც. ამ მართველობაში მან დიდი ნიჭი გამოიჩინა.

მისი გათხოვება 1789 თუ 1791 წელს მოხდა. კაცია დადიანის მემკვიდრე გრიგოლი ტფილისში ორმოცდაათი კაცის ამალით ჩამოვიდა. ირაკლი მეფემ თავის შვილი-შვილს და ახალგაზდა სიძეს დიდებული ქორწილი გადაუხადა. სამეგრელოს მემკვიდრემ ლამაზი ცოლი წაიყვანა, მისმა ცოლმა დიდი და მდიდარი მზითევი წაულო, არც ერთი მაყარი დაუსაჩუქრებელი არ დარჩენილა. პლატონ იოსელიანი უმატებს, რომ მეგრელებმა პირველად ამ ქორწილში გაიგონეს „ალავერდი იახშიოლის" სიტყვები და პირველმა მათ წაიღეს ეს ჩვეულება ლიხთ -იმერეთშიო.

გრიგოლმა 1803 წელს რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო და მალე მიიცვალა. 1804 წ-ს დედოფალი ნინო სამეგრელოს მმართველი შეიქმნა. მას შემდეგ, რაც მთავრად მისი უფროსი შვილი ლევანი შეიქმნა, ნინომ კიდევ დიდხანს იცოცხლა და მოკვდა 1847 წელს. დამარხულია ალექსანდრე ნეველის ლავრაში პეტერბურგს. ის მოკვდა თავის დედაზედ, საქართველოს უკანასკნელ დედოფლის მარიამზედ ადრე, რომელიც 1852 წელს მიიცვალა. დედოფალ ნინოს მთავარი ღვაწლი ის იყო, როგორც აგრეთვე დედოფალ ეკატერინესი შემდეგ, რომ როდესაც სამეგრელოს მთავრობა უფლება გაუქმდა, მათ ჩამომავლობას კიდევ დარჩა ბინა სამეგრელოში. ეს იყო მათი დედური და წმიდა ქალური ღვაწლი, მაგრამ დიდი ღვაწლი. მათ შეეძლოთ თავის ქვეყანაში ეცხოვრათ და ხალხში ძველი პრესტიჟი ჰქონოდათ. ბაგრატიონებს ესეც არა რგებიათ. რუსებმა მთლად აღგავეს ისინი საქართველოს პირიდგან.

ამ ჭკვიანი, მხნე, თავდადებული და სამაგალითო ქართველი დედოფლის ამბავი ქ-ნ თამარ პაპავას დიდის სიყვარულით და მოწიწებით აქვს მოთხრობილი. ასეთივე სიყვარულით არიან დახატულები იმავე ეპოქის სხვა ქართველ ქალბატონთა სურათებიც. მათში ჩვენი წარსულის სახე მოსჩანს. მოსჩანან ქართველ ქალების ის თაობანი, რომელთაც ამ წარსულს და მერე როგორ დროში?— თავისი ნაზი ბეჭედი დაასვეს. მათ გამოხატეს თავისი და საქართველოს სული ორი ეპოქის მიჯნაზედ. ქ-ნ თამარ პაპავას ნაშრომი ყველას მიერ წასაკითხი და დასაფასებელი ქართული წიგნია, წასაკითხია განსაკუთრებით ჩვენს გადმოხვეწილობაში.

**შ. ამირეჯიბი**

Le Gérant : R. Cornel.

Imprimerie de Navarre — 5, rue des Gobelins. Paris (13).